ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 10 (15)

29 III 1991

ქრისტიანული სამყაროს უდიდესი დღესასწაულია კვირას — **დიდებით შესვლა იერუსალიმში უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ბზობა.**

ამავე დღეს საქართველოში ტარდება **რეფერენდუმი.** ქართული მიწა-წყლის ერთგულმა ყველა ადამიანმა ხმა უნდა მისცეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, უნდა ამცნოს მსოფლიოს, რომ საქართველოს თავისუფლება სურს.

რაოდენ სიმბოლურია ეს დამთხვევა. მაცხოვრის დიდებით შესვლას იერუსალიმში გოლგოთა მოჰყვება. გოლგოთისკენ მიმავალ მძიმე გზაზე განგვამტკიცებს და გაგვაძლიერებს მარადიული რწმენა **ბრწყინვალე აღდგომისა.**



**ტროპარი: ყოველთა აღდგომასა პირველ ვნებასა შენისასა მოასწავებდი, ამისთვისცა მეგობარი შენი ლაზარე მკვდრეთით აღადგინე ქრისტე ღმერთო, რომლისათვისა ჩვენცა ვითარცა შვილნი ებრაელთანი შევწირავთ შენდა ძლევისა გალობასა, რომელმან დასთრგუნე სიკვდილი. ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეხვედრა მთავრობის სახლში

**• „თავისუფალი საქართველოს" წინა ორ ნომერში (№№ 8, 9) დაიბეჭდა ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საზოგადოების ერთი ნაწილის შეხვედრის მიმოხილვა. დღეს ვამთავრებთ ამ პუბლიკაციას.**

კათედრაზე **ბატონი ლევან ლვინჯილია** ავიდა — რამდენიმე წლის წინ დავიწყე ენის საკითხებზე გადაცემების ტელესერიალი, მაგრამ მაშინ სიტყვა „რუსულის" ხსენება იმდენად აკრძალული იყო, რომ ერთი „არასწორად" ნათქვამი ფრაზისთვის მე რამდენჯერმე ვარ ნამყოფი ერთი შენობის ოთახებში, რომელიც ერთმა პარტიამ, ერთ დროს დაარბია და შეიძლება ახიც იყო მასზე.

იმ დროს რისამე თქმა ძალიან ძნელი იყო. ამას იმტომ მოგახსენებთ, რომ ერთი ჩვენი ოპონენტი, რომელიც ოფიციალური სახელმწიფო პირია, ამბობს, რომ დღეს ჩვენ ვართ ხალხის მტრები და ლევან ლვინჯილია თურმე ცდილობს უზენაესი საბჭოს დამხობას, მის დისკრედიტაციას და სახელის გატეხვას, ეს დოკუმენტი მე ხელთა მაქვს და თუ არ გჯერათ, შემიძლია წაგიკითხოთ. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია ის, რომ ლაპარაკი იყო სიტყვის თავისუფლებაზე. ჩვენ არავინ ბორკილებს არ გვადებს, თავისუფლებას თუ ამ გაგებით აღვიქვამთ, მაგრამ ის, რაც ათი წლის მანძილზე კომუნისტების დროს ხერხდებოდა, დღეს ვერ ხერხდება. მე ბოდიშს ვიხდი პარალელისათვის, იმიტომ რომ სულაც არ ვფიქრობ, რომ მაშინ უკეთესი დრო იყო...

მე არ მომწონს ახალციხის პრეფექტად სასულიერო პირი რომ დანიშნეს, რამეთუ დიდ სჯულის კანონში წერია, რომ სასულიერო პირი არ შეიძლება იდგეს საერო სამსახურში. ოპონენტი მეუბნება, აბა ის სჯობდა, მგელაძემ რომ მიწები გაყიდა? მე მგელაძის მიწების გაყიდვაზე არ ვლაპარაკობ; თუ მეშლება, თუ კრების დადგენილება შეიცვალა, მამა არჩილმა ან მამა თევდორემ ამიხსნას და მე ამას გავიგებ. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ერთს ვამბობთ და ოპონენტი კი სხვას გვპასუხობს. სადაც მე პირველ პირში ვახსენებ ჩემს თავს, გთხოვთ ეს აღიქვათ იმ ადამიანების პოზიციად, რომელთა წარმომადგენლად მე თქვენს გაზეთში ვარ გამოყვანილი. რაც შეეხება ჩემს თანადგომას უზენაესი საბჭოსადმი, პირველი კაცი მე ვიყავი, რომელმაც იმ ენობრივ რუბრიკაში თქვენს ენობრივ პოლიტიკას მხარი დაუჭირა და სატრაბახოდ მაქვს, რომ ზვიად გამსახურდიას ციტირება საქართველოს ტელევიზიით პირველად მე მოვასწარი.

10 წლის მანძილზე ჩვენ ამას, ვაჭრობის სფეროში არსებული ტერმინი რომ ვიხმაროთ, „რეკლამაციის" გარეშე ვახერხებდით. მაგრამ უცნაური დამთხვევა მოხდა. გაიმართა დისკუსია ჩემსა და ერთ პირს შორის, ამას მოყვა, ბუნებრივია, საპასუხო წერილი, სადაც წერია, „პირდაპირ ვიტყვი, რომ ლევან ლვინჯილია ადამიანთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც კრიჭაში უდგას საქართველოს უზენაეს საბჭოს. მას სურს, რომ სახელი გაუტეხოს ამ უზენაესი საბჭოს წევრებს" მე გეკითხებით..."

ხმაური აუდიტორიაში.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — მაპატიეთ, მაგრამ ეს კერძო საქმეა.

**ბ-ნი ლევან ლვინჯილია** — მე მას ვუთხარი პირად საუბარში და ამ საუბარს ესწრებოდა ნუგზარ მგალობლიშვილი და ვთხოვე ასეთი რამ, ამას ხალხი ცუდად გაიგებს, შეიძლება ვილაც იყოს ჩასაფრებული, რომ ლვინჯილიას რეპრესირება ხდება იმის გამო, რომ მან უზენაეს საბჭოში სახელი გაიტეხა.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — მე არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებ.

**ბ-ნი ლევან ლვინჯილია** — რა თქმა უნდა, მან მითხრა არც დაიჯეროთ, რომ ეს ზვიადმა იცისო.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — პირველად მესმის.

**ბ-ნი ლევან ლვინჯილია** — დიახ. ეს არის ფაქტი. ჩვენ რაღაცას ვაკეთებთ პროფესიულ დონეზე და ვიღაცას ეს ეჩვენება არასაჭირო საქმედ. ახლა კონკრეტულ წინადადებას შემოგთავაზებთ რამდენიმეს. ლაპარაკი იყო იმის შესახებ, შეიძლება თუ არა უზენაესი საბჭოს გაკრიტიკება.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — რა თქმა უნდა. შეიძლება.

**ბ-ნი ლევან ლვინჯილია** — შეიძლება, მაგრამ გააჩნია სად და რა ფორმით.

იმ სხდომაზე, რომელიც აქ იყო ნახსენები, გამოითქვა უამრავი შენიშვნა, რომ უზენაესი საბჭოს დოკუმენტები ხშირად არ არის ენობრივი თვალსაზრისით სრულყოფილი და უნდა მოხერხდეს მათი სრულყოფა. ეს იყო აღქმული და მერე პრესაში განმარტებული, უზენაესი საბჭოს „აფეთქების" მცდელობად, მაგალითად დროშას რომ აწერია „წითელი (შინდისფერი)" ეს აბნევს მკითხველს. შეიძლება ეწეროს სრულიად მარტივად „საქართველოს დროშა არის შინდისფერი".

ახლა მეორე წინადადებას მოგახსენებთ, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ის ალტერნატიული საათი, რომელიც დღევანდელი მთავრობის ქვეყნის სათავეში მოსვლამდე იყო საქართველოს ტელევიზიაში, კვლავ აღდგეს. მესამე, — ხომ არ არის მიზანშეწონილი, რომ სესიები ტრანსლირებული იყოს რადიოთი, რათა ხალხს ჰქონდეს საშუალება მოუსმინოს მის მიერვე არჩეულ ხელისუფლებას და შემდეგ კიდევ ერთი ასეთი სურვილი — მე აუცილებლად მიმაჩნია, რომ პრესის კანონი და კანონი ენის შესახებ ერთმანეთთან შეთანხმებულად და ერთდროულად გამოვიდეს და ბოლოს, მიმაჩნია, რომ აუცილებელი და საშურია, რომ შეიქმნას სამთავრობო ენობრივი სამსახური, რომელიც წარმართავს საქართველოში ენობრივი პოლიტიკის მთავარ საკითხებს.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — ენობრივი კომისია იქმნება უზენაეს საბჭოსთან და იქ ძალიან სოლიდური სპეციალისტები შედიან.

კათედრასთან **ქალბატონი ლანა ლოლობერიძე** გამობრძანდა: — ჩემი აქ მოსვლის და გამოსვლის მიზანი ერთადერთია. როგორმე, მთელი სიძნელეების დაძლევით, მოვახერხოთ ისე, რომ ჩვენ ვიგრძნოთ თავი ერთიან ორგანიზმად, საქართველოდ, რომელიც არ იქნება დაშლილი პარტიებად. მინდა რომ ძალიან მოკლედ გამოვთქვა ის უმთავრესი, რასაც ვფიქრობ, სადამდეც მივედი მთელი ჩემი არსებობის მანძილზე. რა გამოგვყვა ჩვენ ყველაზე საშინელი იმ ტოტალიტარიზმის ეპოქიდან, რომელშიც ჩვენ ვიცხოვრეთ? ეს იყო პიროვნების დათრგუნვა ტოტალიტარული ძალაუფლების მიერ, რომელიც განსახიერებული იყო პარტიაში. მე დღემდე მაქვს ასეთი დამოკიდებულება, რომ ეს პარტია არის რაღაც ძალა, რომელსაც ყველაფერი შეუძლია, შეუძლია მოსპოს ადამიანი ფიზიკურად, შეუძლია მოსპოს მორალურად, ზნეობრივად. ყველაფერი შესაძლებელია, როდესაც ის ხელისუფლების სათავეში მიდის. მე მთელი ჩემი არსებით მჯერა, რომ დღეს ჩვენთან ეს არ შეიძლება მოხდეს, არ შეიძლება მოხდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლების სათავეში მოექცა პარტიების ბლოკი, მაგრამ ამ ბლოკს მე აღვიქვამ, როგორც ერთ პარტიას — „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო". ახლა ძალიან გულწრფელად გეტყვით, მე რა თქმა უნდა, მერჩივნა, რომ პარლამენტში უმრავლესობა ყოფილიყო „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენლები, მაგრამ ის რაციონალური ძალებიც, რომელიც იყო სხვა პოლიტიკური პარტიების სახით, აგრეთვე გასულიყვნენ პარლამენტში. მიუხედავად ამისა...

(დარბაზში ხმაური ატყდა. ქალბატონი ლანას რეაქცია ამ ხმაურზე მეტად მძაფრი იყო).

**ქ-ნი ლანა ლოლობერიძე:** — მე მაინტერესებს ეს სურვილი თქვენი, ქალბატონებო, იმ წუთას რაღაცა დაუპირისპიროთ გამომსვლელს. რატომ? რატომ? მე მაინტერესებს, ამიხსენით! მე მინდა გავიგო რა გამოძრავებთ. პირიქით, მინდა ვიპოვო საშუალებები, რომ არ იყოს რაიმე კონფრონტაცია. დღეს შეუძლებელია კონფრონტაცია კულტურასთან და ინტელიგენციასთან, ეს თქვენ არ გესმით? ვინა ვართ. მტრები ვართ, მართლა? ხომ სირცხვილია ამაზე ლაპარაკი. საერთოდ არ მინდოდა ასეთი ინტონაციით გამოსვლა. ეს თქვენ მაიძულეთ. თქვენს მიმართ ვამბობ იმას, ქალბატონებო, არა ბატონი ზვიადის და პრეზიდიუმის მიმართ. იმ წუთას რაღაცას ყვირით აქედან. რას ყვირით? ვინმემ შეიძლება დაგვწამოს რომელიმე ჩვენთაგანს, რომ საქართველო არ გვიყვარს? ვინმემ შეიძლება დაგვწამოს, რომ კონფრონტაციაში ვუდგევართ დღევანდელ ხელისუფლებას? რატომ? ეს ხელისუფლება მართლა აირჩია ქართველმა ხალხმა.

პირველი რაც გავაკეთე, როცა გავიგე, რომ არჩევნებში მრგვალმა მაგიდამ გაიმარჯვა, დავურეკე ბატონ ზვიადს და ვუთხარი, რომ ვულოცავ, სულით და გულით ვულოცავ ამ გამარჯვებას, იმიტომ რომ დაემხო ის საშინელება — კომუნისტური რეჟიმი და ეს ჩვენი ხელისუფლებაა, ჩვენი, ყველასი ჩვენი. ეს არ უნდა დავივიწყოთ არავინ, არც ჩვენ და არც თქვენ. რა არის ეს „ჩვენ" „თქვენ?" როგორ შეიძლება დღეს ასეთი რამ იყოს საქართველოში? როგორ შეიძლება.

სულ არ მინდოდა ამ ინტონაციაზე გადასვლა. მე გამომიყვანა წყობიდან ამ შეძახილებმა! ეს პირდაპირ მართლა დამთრგუნველია, იცით. ეს კიდევ ერთხელ აღვივებს ყოველ პატიოსან, წესიერ ადამიანში შიშს. ჩვენ შიშით ვიცხოვრეთ ამ ტოტალიტარულ რეჟიმში. იქნებ თქვენ არ გეშინოდათ? მე ყოველ ღამე იმისი მეშინოდა, რომ ხან მამაჩემს ხვრეტდნენ, ხან მიყავდათ დედაჩემი, ხან კიდევ ბიძაჩემი, ორი დეიდაჩემი... სხვათა შორის გაყოფილი იყო ჩემი ოჯახი, ერთის მხრივ, იყო მამაჩემი, მართლაც ამ რეჟიმის მომხრე და დამაარსებელი და მეორეს მხრივ. მთელი ხუციშვილების ოჯახი, მებრძოლი კომუნისტურ დიქტატურასთან და ყველა ამოხოცეს. არ დარჩა არც ერთი დედაჩემის მხრიდან ნათესავი, რომელიც არ მოკლა კომუნისტურმა რეჟიმმა. ამ შიშში გავიზარდე. ბიძაჩემი, რაჟდენ ხუციშვილი უშესანიშნავესი, უსპეტაკესი ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარდა, როგორც კი დაიწყო ომი, ციხიდან წაიყვანეს და დახვრიტეს.

ეს გვაქვს გამოვლილი და დღეს ვის შეიძლება ვებრძოლოთ? როგორ შეიძლება დღეს ჩვენ ერთმანეთს ვებრძოლოთ? მაშინ ჩვენ არაფრად არ ვვარგივართ. მაშინ ქართველები არაფერი არ ვყოფილვართ. თუ ჩვენ ეს ვერ გავიგეთ ყველამ, რომ ჩვენ დღეს ერთად უნდა ავაშენოთ ახალი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს, მაშინ არაფრის ღირსი არ ვყოფილვართ. პირველ რიგში, ბატონო ზვიად, ეს მოგეთხოვებათ თქვენ, იმიტომ რომ თქვენ ხართ ხელისუფლება.

როგორ შეიძლება, რომ დღეს უნივერსიტეტის ახალგაზრდობა აღელვებული იყოს იმით, რომ ისინი იჩაგრებიან. მე სტუდენტებმა დამირეკეს და იმიტომ მოვედი დღეს. როგორ შეიძლება ეს?

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — ვინ იჩაგრება?

**ქ-ნი ლანა ლოლობერიძე** — თქვენ უნდა იმათთან იყოთ პირველ რიგში. აი, ვისი რუპორი უნდა იყოს დღეს ჩვენი ხელისუფლება. სიმართლე ყოველთვის ახალგაზრდობის მხარეზეა. ყოველთვის იმ ახალგაზრდობის მხარეზეა, რომელსაც არც ხელისუფლების ეშინია და არც ოფიციოზის. ოპოზიცია შესანიშნავი სიტყვაა, ხალხო, ეს ის არის, რაც მოიტანა დემოკრატიამ. არ ვიცით. ჩვენ არ ვიცით, ოპოზიცია შესანიშნავი რომ არის თავისი არსით. მხოლოდ ოპოზიციას შეუძლია დაიცვას ხელისუფლება შეცდომებისაგან. ეს შეუძლია მხოლოდ ნამდვილ, ჯანმრთელ ოპოზიციას. სხვანაირი ოპოზიცია მე არც წარმომიდგენია. არ არსებობს აქ ასეთი ოპოზიცია. სადღაც, ალბათ არსებობს და ეს ჩვენ არ გვეხება.

ჩვენ სულ სხვა რამე გვინდა. აი, კონკრეტულად ახლა რაც შეეხება კულტურას და ინტელიგენციას. მე ვფიქრობ, რომ საქართველო მართლა არის ის ქვეყანა, რომელმაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს კაცობრიობის ისტორიაში... მე არაფერს ახალს არ ვამბობ. ეს თქვენ ყველამ იცით, მაგრამ მე ჯერჯერობით ვერ ვხედავ, მართლა სერიოზულ და ღრმა დამოკიდებულებას ჩვენი კულტურისა და ინტელიგენციის მიმართ. ჩვენი დღევანდელი ინტელიგენცია არც განსაქიქებელია, არც გასალანძღია. არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება, რომ ყოველ წუთში ეს სიტყვა უდიერად მოიხსენიოს. რა სიტყვებს აღარ ხმარობენ. ვეღარ ვიხსენებ ახლა, არავითარ შემთხვევაში ამის დაშვება არ შეიძლება.

დღეს აქ იყო ლაპარაკი პრესაზე. მე გეთანხმებით, ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ არის პრესის თავისუფლება. მართლაც იბეჭდება ძალიან ბევრის სხვადასხვა აზრი და ისეთიც, რომ სრულიად მიუღებელიც კი არის. მე ძალიან მწყინს, რომ უდიერად ვლანძღავთ ერთმანეთს. ეს არ არის ოპოზიცია. ეს არის უბრალოდ ჩვენი უკულტურობის მაჩვენებელი. ეს მე საშინლად არ მომწონს და ჩემში ყველაფერი ეწინააღმდეგება ამას, ეს უდიერობა უნდა მოვსპოთ ჩვენ კამათში და ვილაპარაკოთ კულტურულად და თავაზიანად, იმის შესაფერისად, როგორიც ვართ სინამდვილეში.

მაგრამ ის ძირითადი ხაზი, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი ხელისუფლება, იქ იბეჭდება ისეთი რამეები ინტელიგენციის შესახებ, რომელსაც მე უბრალოდ არ ვიღებ და ასე თუ გაგრძელდა, მე არ შემეძლება სულით და გულით ვიყო თქვენთან. იმიტომ, რომ მიმაჩნია, ჩვენ ასეთი დამოკიდებულება არ დაგვიმსახურებია. არავის არ დაგვიმსახურებია და პირიქით, თუ დავიმსახურეთ, დავიმსახურეთ მხოლოდ პატივისცემა. ჩვენგან არავის არ ჰპირდებოდა არაფერი. მე ყველა ჩემი მეგობრის სახელით ვლაპარაკობ. როდესაც ჩემი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა, მე ყველა გამოსვლაზე ვამბობდი — არა აქვს მნიშვნელობა ვის მისცემთ ხმას, მთავარია კომუნისტებს არ დაუჭიროთ მხარი. მთავარია გაიმარჯვოს ეროვნულმა მოძრაობამ. აი რას ვეუბნებოდი ამომრჩევლებს. ხომ გავიმარჯვეთ, ხომ მოხდა ეს შესანიშნავი რამ და ამის მერე ჩვენ შეიძლება რომ რაიმე გვქონდეს საკამათო? პირიქით, უკაცრავად, ვღელავ, სიტყვები მერევა, საკამათო ნამდვილად შეიძლება გვქონდეს. უნდა გვქონდეს და ეს მხოლოდ პროგრესული იქნება. ეს იქნება ის, რაც მართლა გადაარჩენს საქართველოს.

ძალიან მოხარული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ძალიან არ მომწონს აქ როგორც ხდებოდა, განსაკუთრებით დასაწყისში, ძალიან არ მომწონს ეს აგრესია... რაღაცას რომ იტყვი, თითქოს პირდაპირ უკვე გამოხვედი და აი ის, ვინც ახლა უნდა გდევნოს და მერე სახლში გირეკოს... არ ვიცი, ვინ არის ეს ხალხი, თითქოს იმისთვის მოწოდებული, რომ ანონიმურად რეკონ სახლებში. ეს საშინელებაა. ეს უნდა მოვსპოთ საერთოდ. არ ვიცი როგორ. უნდა მოისპოს ეს ინსტიტუტი. სახლში მრეკავთა ინსტიტუტი, ქალების, სხვათა შორის...

მაგრამ მიუხედავად ამისა მე მიმაჩნია, რომ დღეიდან მართლა დაიწყება ის კონსტრუქციული დიალოგი ჩვენს შორის. მე არ ვფიქრობ, რომ არსებობს „ჩვენ" და „თქვენ". მე მიმაჩნია, რომ არსებობს მთავრობა, ხელისუფლება და მეორეს მხრივ, ინტელიგენცია, რომელთაც ერთმანეთთან მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთო ძაფები აკავშირებთ და ერთად მართლა შევძლებთ ნამდვილი კეთილი საქმეების გაკეთებას და კიდევ ერთი რამ!.. ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, ჩვენ გვინდა თავისუფლება. მართლა გვინდა, „გულს თავისუფლება ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა"... ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სახე ყველა ცივილიზებული ერების წინაშე და ამისათვის უნდა ვიყოთ ჩვენ ერთად. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევქმნათ სახე ქვეყნისა, სადაც ერთი მხარე თრგუნავს მეორეს. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ და ერთად გავიტანოთ დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს სახე მთელ მსოფლიოში, ჩვენი კულტურით, ჩვენი პუბლიცისტიკით, ჩვენი პოზიციით და ჩვენი ცხოვრების წესით.

**შეკითხვა დარბაზიდან:** ქალბატონო ლანა, ერთი შეკითხვა მაქვს, თუ შეიძლება, მაკომპრომენტირებელი წერილები უზენაესი საბჭოს და ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართ უფრო მეტია, თუ ინტელიგენციის მიმართ პრესაში?

და მეორე — ის, რომ ზოგიერთი პარტია პარლამენტში ვერ მოხვდა და ერთ ბლოკად არ გაერთიანდნენ, ამაში ვისა აქვს ბრალი?

**ქ-ნი ლანა ლოლობერიძე** — რა უნდა ვილაპარაკოთ, თქვენ არ ისმენთ. წინასწარ გინდათ რაღაცა თქვათ.

**დარბაზიდან:** არა მომისმინეთ, მესამე შეკითხვა — ძალიან გვაინტერესებს, დარეკვები და წერილები, რომლებიც უზენაესი საბჭოს წევრებს ეგზავნებათ ტერორისტული ორგანიზაციების მიერ, უფრო საშიშია, თუ ის ანონიმური ზარები, რომლებიც თქვენ ახსენეთ?

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — არ გვინდა ახლა ამ საკითხებზე.

**ქ-ნი ლანა ლოლობერიძე** — ისევ და ისევ აი იმ კონფრონტაციის სურვილია ასეთი კითხვები. ძალიან ადვილად შემიძლია ყველა შეკითხვაზე გიპასუხოთ, მაგრამ არც მინდა. ეს ძალიან წვრილმანია და სრულიად ვერ გაგიგიათ, მე რა ვთქვი. როგორ აგიხსნათ, თითოეული ადამიანის სიცოცხლეა ჩემთვის მნიშვნელოვანი და ზნეობრივი მდგომარეობა. მე პირადად ჩემი თავი მიმაჩნია პატიოსან ადამიანად და ჩემთვის აქვს მნიშვნელობა, ვიქნები თუ არა მართლა თავისუფალი.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — სიტყვა აქვს ფიქრია ჩიხრაძეს...

**ბ-ნი ამირან კალაძე** — კითხვა მაქვს ერთი. მაპატიეთ, ქალბატონო ლანა, თქვენ აქ ახსენეთ სტუდენტობა და გამოთქვით ეჭვი, რომ შესაძლებელია კონფრონტაციაში მოვხვდეთ ჩვენ და სტუდენტობა. ეს, რასაკვირველია, დამაფიქრებელი ეჭვია. მე თქვენ გაძლევთ ასეთ შეკითხვას... პირიქით, მინდა დავიცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტობა იმ ფრაზისაგან რომელსაც თქვენ, ალბათ, იცნობთ. ამას წინათ საქართველოში გავრცელებულ ერთ-ერთ წერილში, უფრო სწორად, ბატონი ჯაბას მიმართვაში ქართველი ერისადმი...

**ქ-ნი ლანა ღოღობერიძე** — მე მინდა პატარა განმარტება მოგცეთ, საერთოდ არაფერი არ ვიცი ამის შესახებ. ვიყავი გადაღებებზე და გუშინ ჩამოვედი.

**ბ-ნი ამირან კალაძე** — თქვენი აზრი მაინტერესებს, იმიტომ რომ მე და თქვენ ვიცავთ სტუდენტების ინტერესებს. ეს მოწოდება მთავრდება ასეთი სიტყვებით: „სანამდე უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტები მოითხოვენ თუნდაც ერთი ადამიანის დაპატიმრებას, თუნდაც ის ადამიანი იყოს დამნაშავე, ჩემი ადგილი ციხეშია". ზუსტად ასეთი ტექსტია. იმედია მენდობით, არა? ახლა მე თქვენ გეკითხებით, მაშასადამე, თუკი სტუდენტები მოითხოვენ დამნაშავის დაპატიმრებას, ამისათვის ადამიანი ციხიდან არ უნდა გამოვიდეს?

**ქ-ნი ლანა ღოღობერიძე** — მე თქვენ გიპასუხებთ, თუმცა ეს სრულიად არასწორ პაექრობად მიმაჩნია, რომ ისევ გადაგყავთ... ისევ იქით მიგყავთ, რისგანაც მე მინდა გამოვიდე, რომ არ იყოს არავითარი კონფრონტაცია... მაგრამ თუ გნებავთ, გიპასუხებთ, როგორც გნებავთ...

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — არ არის საჭირო.

**ქ-ნი ლანა ღოღობერიძე** — მიმაჩნია ძალიან არასწორად და ძალიან წვრილმანად ასეთი პაექრობა.

ქ-ნ ლანას შემდეგ სიტყვით **ქალბატონი ფიქრია ჩიხრაძე** გამოვიდა —აქ იმაზე იყო საუბარი, შეიძლება თუ არა, სტუდენტი ითხოვდეს ვინმეს დაპატიმრებას. ზოგადად, ალბათ, ჯობია, რომ სტუდენტი არავის დაპატიმრებას არ ითხოვდეს.

მე მინდა იმით დავიწყო, რომ... ბატონმა თემურმაც იცის, ჩვენ პირადადაც ვესაუბრეთ და უნივერსიტეტში ჩემი გამოსვლაც მთლიანად ამ პათოსით იყო სავსე, რომ ერთი ბეწო ნაბიჯი, რომელიც გადაგიდგამს იმ მოძრაობის, ეროვნული მოძრაობის მხარდამხარ, კვალდაკვალ, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში მიმდინარეობდა საქართველოში, არ შეიძლება, რომ თან არ გრძნობდე ამ თითოეული ნაბიჯის პასუხისმგებლობას და ამ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს თითოეული ჩვენთაგანი, ვინ ადრე მოვიდა ეროვნულ მოძრაობაში, ვინ გვიან მოვიდა, ვინ ასაკით უფრო დიდია და ამიტომ ადრე მოვიდა და ვინ ასაკით უფრო პატარა იყო და ამიტომ უფრო გვიან შეუერთდა ამ ეროვნულ მოძრაობას. აბსოლუტურად ყველა. მე მინდა პასუხისმგებლობას გრძნობდნენ გულშემატკივრებიც, რომლებიც ძალიან ხშირად, უმეტესწილად ხელს უწყობენ სწორედ კონფრონტაციას და არავითარ შემთხვევაში... ორივე მხარის გულშემატკივრებზე ვლაპარაკობ. მე უნივერსიტეტშიც ვთქვი და თუ თავს არ შეგაწყენთ, ახლაც გავიმეორებ. მაპატიეთ, მე ველოდე... იმიტომ რომ არ შეიძლება ამ სიტუაციაში არ აღელდეს ადამიანი.

**ბ-ნი თემურ ქორიძე** — უნივერსიტეტშიც ღელავდით თქვენ.

**ქ-ნი ფიქრია ჩიხრაძე** — ბატონო თემურ, გულშემატკივრებთან ერთად მე თქვენც მინდა ვთქვა. მე თქვენი რამდენი გამოსვლაც მომისმენია ამგვარ თავყრილობებზე, ერთ-ერთი იმათგანი ხართ, ვინც არ უწყობს არასოდეს ხელს, რომ კონსტრუქციულად წარიმართოს დიალოგი.

**ბ-ნი თემურ ქორიძე** — ქალბატონო ლანა და ბატონო ელდარ, ეთანხმებით ამას თქვენ?

**ქ-ნი ფიქრია ჩიხრაძე** — მე რაც მომისმენია, იმაზე ვლაპარაკობ.

**ბ-ნი თემურ ქორიძე** — თქვენი უმწიფარი აზრის დემონსტრირების ადგილი აქ არ არის. დაუკვირდით ამას. თქვენს აბსოლუტურ უმეცრებასა და უმწიფარობაზე მეტყველებს ის, რასაც ახლა ლაპარაკობთ.

**ქ-ნი ფიქრია ჩიხრაძე** — დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის, ბატონო თემურ.

**ბ-ნი თემურ ქორიძე** — არ არის ეს კომპლიმენტი. ეს არის სიმართლე.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — არ გინდათ, ნუ ამწვავებთ ახლა...

**ქ-ნი ფიქრია ჩიხრაძე** — სხვათაშორის, თუ ჩემნაირი კატეგორიის ადამიანები რა განწყობით არიან დღევანდელი უზენაესი საბჭოს მიმართ, მე კიდევ ვიმეორებ, ამას მრავალწილად განსაზღვრავს თქვენი გამოსვლებიც და სხვათაშორის აი ის... თქვენ მჭერმეტყველი ბრძანდებით და ხშირად თქვენი ცინიკური მჭევრმეტყველება ძალიან ცუდად ზემოქმედებს ლოიალურად განწყობილ ადამიანებზე.

**ბ-ნი თემურ ქორიძე** — ასეც უნდა იყოს. თქვენზე ცუდად უნდა მოქმედებდეს.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — პიროვნულზე ნუ გადადიხართ. რაიმე კონკრეტული წინადადება თუ გაქვთ, დააყენეთ.

**ქ-ნი ფიქრია ჩიხრაძე** — მე ძალიან დიდ მორალურ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, იმიტომ რომ ეს შეხვედრა მაინც ჩვენი ინიციატივით მოეწყო, და ძალიან ცუდად მენიშნა დასაწყისიც. მე ამის შესახებ უკვე გითხარით, რომ ჩვენ გუშინ გადმოგეცით სია იმ ადამიანებისა, ვინც დღეს აქ უნდა მოსულიყო, და არ მოხდა გუშინ გაფრთხილება, რომ თურმე აქედან რამდენიმე ადამიანი...

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — ბოდიშს ვიხდი, ერთი ადამიანი. ერთადერთი ადამიანი.

**ქ-ნი ფიქრია ჩიხრაძე** — ბატონო ზვიად, მოხდა მაინც ჩვენი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება. და ეს იყო, სხვათა შორის ის, ბიჭი, რომელმაც უკვე სხვანაირი მიმართულება მისცა ამ შეხვედრას. რატომღაც ისე ვიცი, რატომღაც ისევ მტრული განწყობით... თქვენ იცით, რომ უნივერსიტეტი არასოდეს არავის დაამდაბლებს თავის თანადგომას და მე ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვინმეს ვამადლიდე. თქვენ გახსოვთ, უნივერსიტეტი როგორ იდგა თქვენს გვერდით. უნივერსიტეტს თქვენთვის არც სიყვარული დაუკლია, არც თანადგომა და არც მოფერება. მე მინდა, რომ თქვენ დაადასტუროთ ეს.

**ბ-ნი ზვიად გამსახურდია** — კი ბატონო, მაგრამ ახლა თქვენ კანონიერი ქურდები ამჯობინეთ და რა ვქნათ.

ქ-ნი ფიქრიას სიტყვა ხმაურმა ჩაახშო. ძალიან მოკლე სიტყვით გამოვიდა **ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი,** რომელმაც აღნიშნა, რომ შემდგომი თანამშრომლობისთვის კარგი იქნებოდა ასეთი შეხვედრები ხშირად მოწყობილიყო. ეს ხელს შეუწყობდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონფრონტაციის შენელებას.

სიტყვა მოითხოვა **მამა არჩილმა,** რომელმაც სრულად დაიპყრო აუდიტორია. დარბაზმა სრულ სიწყნარეში მოისმინა მისი ვრცელი, მგზნებარე სიტყვა.

**მამა არჩილი** — მინდა ერთი იგავი გითხრათ. ალექსანდრიაში, მონასტერში მოღვაწეობდა ერთი ღირსი მამა, მაგრამ სიძვის ეშმაკმა შეიპყრო და ფარულად სცოდავდა. გაიგეს ეს ბერებმა და ამხილეს ალექსანდრიის ეპისკოპოსთან, ამონი დიდთან. წამოიყვანეს განრისხებულებმა, ჩვენსავით, მის განსაკვეთად და განსაქვევებლად. მოდით, ძმანო და დანო, ვნახოთ, როგორ მოიქცა ამონი დიდი. ის იყო წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოვებული. შეცდენილმა ბერმა დაინახა ბერები და დაიბნა, შეძვა ღედაკაცს გოდორი გადააფარა და დამალა სენაკში. შემოვიდა ამონი დიდი, იცოდა, რომ გოდრის ქვეშ იყო ის მეძავი დედაკაცი. დაჯდა გოდორს და უბრძანა იმ მაბეზღარა ბერებს მოეძებნათ ის მეძავი. დამეთანხმებით, რომ პატარა სენაკში არ გაუჭირდებოდათ ქალის პოვნა, მაგრამ ვერ იპოვნეს. ვერ მოისაზრეს, რომ სადაც ამონი იჯდა, მის ქვეშ იყო დამალული მეძავი. და განაქიქა ისინი ამონმა, შერისხა და გაუშვა სენაკიდან. ხოლო ძმას ნაზად მოკიდა ხელი და უთხრა — „ძმაო", უთქმელად მან ყველაფერი უთხრა.

ბატონმა ლევან ღვინჯილიამ იკითხა და მინდა ვუპასუხო. მამა თევდორე რომ იყოს პრეფექტი, თუ შეიძლება? პასუხი ასეთია — თუ უჭირს საქართველოს, შეიძლება. მოიგონეთ დიდი თორნიკე ერისთავი, არა თუ თორონანი მღვდელი, ბერი იყო, ანგელოსის ნება შეიმოსა, მაგრამ როცა მას სთხოვეს მამებმა, არათუ დედოფალმა, რომელიც სარდალს კარგავდა, რომ ჩასდგომოდა ლაშქარს სათავეში, იოანე ქართველმა, ათონელმა ექვთიმემ და სხვებმა დასტური მისცეს, რომ მას გაეხადა კაბა შავი ბერისა და ჩაეცვა ჯავშანი, რადგან ასე სჭირდებოდა მაშინ ივერიას.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მართლაც როგორ უჭირს საქართველოს, ერთ დროს თუ ბერი თევდორე თავსა სწირავდა, დღეს მღვდელი თევდორე, ან თუნდაც მამა არჩილი აქ მოდის და იმას ისმენს, რაც აქ ხდება — ძმათა შუღლს.

აი, ერთ-ერთი კარგი ქადაგება იოანე ოქროპირის მიერ წარმოთქმული შურზე. — შურმა მოკლა აბელ მართალი და პირველი ომი მოხდა, იოსები გაყიდა მონად ძმებისაგან, უფალი ჩვენი ჯვარს აცვა და დღეს ქართველები სწორედ იგივეს ვაკეთებთ. თუმცაღა ორივე მხარე გაიძახის „ჩვენთან არს ღმერთი". პავლე მოციქული გიპასუხებთ და განგაქიქებთ, როგორ შეიძლება ღმერთი იყოს მასთან, ვისთანაც არის ღვარძლი, შური. სიტყვაც ტყვიად იქცა დღეს. უფლის სახელით იმიტომ დავიწყე. რომ მინდა გითხრათ, მე ჩემსას არაფერს გეუბნებით. ვფიქრობ, როგორც პავლე ამბობს, ჩემზედაც მადლია, კათალიკოსის ხელით ვარ კურთხეული. მე არ მესმის, თუ ვის უცხადებენ ის ქართველები, ჩვენსავით ქართველები, ბრძოლას. პავლე მოციქული იტყვის „არ არის ხელისუფლება არა ღვთისაგან". პეტრე მოციქული განმარტავს, — „ხოლო თუ შენგან ითხოვს შიშს, მიეცი შიში". ახლა რაც შეეხება მხილებას. აქ გარდა შიშისა მხილებაზეც იყო ლაპარაკი. თუ შენი ძმა სცოდავს, უნდა დაიბარო იგი, შიშითა და თავმდაბლობით, არა ღვარძლითა და სარკაზმით ამხილო პირში. განკითხვის ცოდვას მაინც გადაურჩები. თუ არ შეისმინა, ორი-სამი მოწმის თანდასწრებით უნდა გაუმეორო. თუ კვლავაც არ შეისმინა, ამხილო უფლის წინაშე. მე მინდა ორივე მხარეს და არა მხოლოდ ერთს დავეკითხო, რადგან მე საპატრიარქოს წარმომადგენელი ვარ და არც მრგვალი მაგიდისა და არც კონგრესის. მე ვარ მღვდელი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. ბაზ საკითხავია, ვის ვებრძვით, რას ვებრძვით? პატრიარქის მიერ ნაკურთხ პარლამენტს? ოპერის გვერდით ჯვრიან დროშას მოვკარი თვალი და განა არსებობს ჯვარი ეკლესიის გარეშე და ეკლესია კათალიკოსის გარეშე? ქართველებს დრო აღარა გვაქვს, ქარის წისქვილებს ვებრძოლოთ.

ამასობაში გადაგვკიდა ერთმანეთს არაწმინდა სულმა, ვისი ხელით გადაგვკიდა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. პავლე მოციქული ამბობს, ჩვენ ბრძოლა გვაქვს არა სისხლთან და ხორცთან, არც კონკრეტულ ერთან, არც კონკრეტულ ბოროტ ადამიანთან, არამედ ცისქვეშეთში არსებულ ბნელეთის ძალებთან. არაწმინდა სულმა გადაგვკიდა ერთმანეთს. სული აქ არის ჩვენი სიბეცე და სიბრმავე. მტერს ყოველთვის გარეთ ვეძებთ, და საკუთარ გულში ცოტა თუ ჩაიხედავს. და როცა ილია მართალმა ჩაგვახედა, თქვენ იცით, როგორ დასრულდა მისი მოწამებრივი ცხოვრება. დასძინა უფალმა — არა აქვს წარმატება წინასწარმეტყველს თავის სამშობლოში, ვინც არ უნდა მოვიდეს თავისი სახელით, ყველას მიიღებთ, მაგრამ როცა მე, ძე ღვთისა, ახალი აღთქმა ისრაელის, მოვედი, ჯვარზე გამაკარით.

ასე ვიქცევით ჩვენც. საერთოდ გვჩვევია ქართველებს. რაკი მე ქართველი ვარ, ალბათ, მაქვს ამის თქმის უფლება, აღარას ვამბობ, რომ მოძღვარი ვარ, ყოველთვის ვცდილობთ სხვაში ვნახოთ ნაკლი. ბეწვს ვეძებთ სხვის თვალში და ამხელა მორის ამოღება გვეზარება.

განსაკუთრებით მინდა ვთქვა დედაკაცებზე. მე მგონი, ეს არის პარლამენტის ერთ-ერთი ფარისევლური მინატმასნი. აქ არის დედაკაცების ერთი ნაწილი, მე, როგორც მღვდელი, ცალსახად გეტყვით, ჯვარზე აწერია შურის ხე, ამხილე, მაგალითი იყავი სიტყვისა და ცხოვრების. მე არ მესმის რა ფარისევლობა არის ეს — ყოველი გამომსვლელის მიმართ რაღაცეების შეძახილი. არ არსებობდა არც ერთი გამოსვლა, რომელსაც რაღაც ღვარძლიანი შეძახილი არ მოჰყვა.

ვწირავდი, როდესაც პარლამენტიდან შემომითვალეს, მოდიო. დღეს მიცვალებულთა სახსენებელია. მე მეგონა, რომ რაღაც სერიოზული ლაპარაკი იქნებოდა. აგერ ინტელიგენცია, მეცნიერება, პარლამენტი ხვდება ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს დაილალა ხალხი, და ვიფიქრე რამე მნიშვნელოვანი მოხდებოდა დღეს. აქ წამოსვლის წინ დიდი პანაშვიდი უნდა გადამეხადა, ვერ ვეტეოდი დროში და მრევლს გამოვუცხადე: ბოდიშს ვიხდი, უნდა წავიდე, შეიძლება ეს ორი მხარე შეერთდეს-მეთქი. ხალხს სიხარულის ამოძახილი აღმოხდა ეკლესიაში. მე მეგონა აქ რაღაც სერიოზული ლაპარაკი იქნებოდა და რა დამხვდა? სიტყვების ჭიდილი. ვისაც არ ეზარება, რაღაცას ლაპარაკობს. მადლობა უფალს, რომ პარლამენტში მოხვდა ის, ვინც დღეს იქ არის. სხვები რომ მომხვდარიყვნენ, ალბათ, მართლა სალაყბოს დაემსგავსებოდა პარლამენტი. ისეთივე იქნებოდა, როგორიც ჩვენი დღევანდელი შეხვედრაა.

განა ღმერთის ხელის გარეშე მოხდებოდა, რომ დღევანდელი პარლამენტი არჩეულიყო? მე არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ პატრიარქმა საახალწლო ეპისტოლეში აკრძალა ეს. მე საპატრიარქოს წარმომადგენელი ვარ, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვხატო ჩემი აღშფოთება. დებო და ძმებო, მოდით დავანებოთ თავი ერთმანეთის ლანძღვას. სამი დღის წინ ასეთი შემთხვევა იყო. ქაშუეთში მესმოდა როგორ ყვიროდნენ — „ჩაუშესკუ, ღორები". გესმით თქვენ? ქართველი კაცი ქართველს ღორს ეძახის! თქვენ ხომ იცით უფალმა ღორს ვინ შეადარა? მოდით გაარჩიეთ მართლა სად არის ღორი და სად არის მამულიშვილი.

თავისუფლებაზე იყო ლაპარაკი. როცა ამ წყობას წყალი შეუდგა, კომუნიზმი კი ანტიქრისტედან იღებს სათავეს, შექმნეს ილუზია თავისუფლებისა — პრესის თავისუფლება. თურმე რა ყოფილა თავისუფლება? აგინე ვისაც გინდა, რამდენიც გინდა. დააარსე გაზეთები უამრავი. წაიკითხეთ სერგი ნილუსის წიგნი, ანტიქრისტეს სამეფოზე. ერთი საუკუნის წინათ დაპროგრამებულია, როგორ უნდა მოხდეს პოლიტიკური გადატრიალებები, პრესა როგორ უნდა გამოიყენონ. გაოგნებული ვიყავი. მე, მღვდელს სახარება რომ არ მცოდნოდა, ალბათ, საშინელ დღეში ჩავვარდებოდი. ამავე თვალსაზრისით იყენებენ თავისუფლებას — სექსუალური თავისუფლება, განა თავისუფლებაა ეს? პეტრე მოციქული იტყვის მეორე ეპისტოლეში: თავისუფლებას აღუთქვამ სხვას და თვით გაიხრწნებიან ვნებებისაგან, რამეთუ ვინც ვისგან არის სძლეული, მისი მონა ხდება. ვინ აღგითქვამთ, გორბაჩოვი აღგითქვამთ თავისუფლებას? დიქტატორი, კაცთმოძულე, ფაშისტი. როცა შევარდნაძე გიბრძანებდათ და მუხლით ხოხავდით, ეს არ იყო მონობა, მაგრამ ახლა, როცა ჭეშმარიტ თავისუფლებაზეა ლაპარაკი, მაინცდამაინც ეს არის დიქტატურა?! (დარბაზში ტაშის ხმა გაისმა).

შეიძლება გადავაჭარბე რეგლამენტს, მაგრამ მაინც გეტყვით. ერთხელ ტელევიზიით ვიქადაგე უფლისა და ილია მართლის გამოცხადება. არსებობს ყრმა, ბავშვი, რომელსაც აქვს საღვთო გამოცხადება — იბერია გაბრწყინდება. უფალმა გვითხრა ქართველებს: მე დაგიცავთ ნებისმიერი მთავრობისაგან, მათ შორის კრემლისგან, თქვენ ქართველებმა დაიცავით ერთობა.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ერთობისთვის მოგაგონებთ უფლის ცრემლიან სიტყვებს გეთსემანიის ბაღში. მამაო, იყვნენ ერთნი როგორც მე და შენ ვართ. ითქვა ერთ-ერთ მიტინგზე და ფიგურალურ გამოთქმად იქცა — ვის გზას აირჩევთ, ქართველებო, ქრისტეს გზას თუ ბარაბას გზას? თქვენს სინდისზე იყოს.

ამინ!

შეხვედრაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა **ბატონი ზვიად გამსახურდია.** — სამწუხაროდ, მეტი დრო აღარ მაქვს, ოთხ საათზე დანიშნულია პრესკონფერენცია და ხალხი უკვე მელოდება, ამიტომ ჩვენი შეხვედრა უნდა დავამთავროთ, თქვენი პრეტენზიები და მოთხოვნები გასაგებია. მე ველოდი, რომ თქვენგან რაიმე კონკრეტული წინადადებები შემოვიდოდა, მაგრამ ვინაიდან ასე არ მოხდა, მე მოგმართავთ კონკრეტული მოსაზრებით, რომელიც, თქვენის თანხმობით, შესაძლებელია გახდეს ჩვენი ერთობლივი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯი. მე მოგმართავთ თქვენ, მოსულ საზოგადოებას, ინტელიგენციას, სტუდენტებს — იზიარებთ თუ არა თქვენ მოსაზრებას, რომ სსრ კავშირის რეფერენდუმს 17 მარტს უნდა გამოეცხადოს ბოიკოტი? (დარბაზიდან — დიახ!) მაშინ, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა უნდა მივმართოთ კრემლის ამ აქციის ჩაშლისაკენ საქართველოში. ახლა მოგმართავთ მეორე კითხვით, ხართ თუ არა თქვენ მომხრე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეისა 1918 წ. 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე? (დარბაზიდან ხმაური). მართალია, ჩვენს ოპონენტებს არ მიაჩნიათ აუცილებლად ამ რეფერენდუმის ჩატარება, რადგან თვლიან რომ 1918 წ. 26 მაისს ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი ნება, ეს ასეა, მაგრამ, მეგობრებო, ნუ დაგვავიწყდება, რომ 1918 წლიდან მრავალმა წყალმა ჩაიარა და თაობები შეიცვალა, ამიტომ ნუ მივცემთ საბაბს დასავლეთს ჩვენს ურყევ ნებაში დაეჭვებისა. ხომ ასეა, მეგობრებო? (დარბაზიდან — დიახ!). მაშინ მეორე ერთობლივი ნაბიჯი იქნება, მაქსიმალურად გავწიოთ მოსახლეობაში აგიტაცია 31 მარტის საქართველოს რეფერენდუმში ჩვენი უცილობელი გამარჯვების მისაღწევად.

გთხოვთ, ამომიდგეთ მხარში და დამეხმაროთ, რათა 99 პროცენტმა ხმა მისცეს საქართველოს თავისუფლებას. ეს იქნება რეალურად გადადგმული ნაბიჯი ჩვენი პოზიციების დასაახლოებლად. დიდი მადლობა მობრძანებისთვის.

# საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ჩვენეული გზა

**პრივატიზაციის** პრიორიტეტული სფეროების, დარგების, საწარმოების და კონკრეტული ობიექტების დადგენის შემდეგ უნდა გაირკვეს, თუ ვინ შეიძლება იყოს პრივატიზაციის სუბიექტი.

საქართველოში პრივატიზაციის სუბიექტი შეიძლება იყოს აუცილებლად საქართველოს კანონიერი მოქალაქე, რომელსაც ექნება აქ ცხოვრების მინიმუმ 10 წელი მაინც. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და პრივატიზაციის სუბიექტის უფლება მიეცეს სხვა რესპუბლიკების, ან უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეებსაც, თუკი ეს ერის ინტერესებს წაადგება, მისი ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დროს პრივატიზაციის სუბიექტად გახდომის უპირატესი უფლება უნდა მიენიჭოთ აქ დასაქმებულ პირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ისეთივე უკმაყოფილების დემონსტრირებას, საპროტესტო აქციების სახით, როგორც ამას ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. კერძოდ, როდესაც სავაჭრო მაღაზიების თანამშრომლებმა შეიტყვეს, რომ ეს მაღაზიები გადადიოდა კერძო მესაკუთრის ხელში, მიმართეს საპროტესტო აქციებს. კერძო მესაკუთრეს უფლება აქვს გაწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ადრე დადებული ჰქონდა იქ დასაქმებულ პერსონალს მაღაზიის ადმინისტრაციასთან და დაასაქმოს თავისი ხალხი. სწორედ ეს იყო მათი უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი. აქ შეიძლება მოქმედებდეს არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა მიზეზიც — მშრომელთა მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა. ძალიან ძნელია საბჭოთა სისტემაში აღზრდილი ადამიანი უცებ შეეგუოს იმ ფაქტს, რომ ის საბაზრო ურთიერთობების პირობებში იქნება არა სახელმწიფოს, არამედ რომელიმე კერძო პირის მიერ დაქირავებული, თუნდაც მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით ახალი მდგომარეობა მისთვის მომგებიანი იყოს.

პრივატიზირებადი ყოველი კონკრეტული ობიექტისთვის, პრივატიზაციის სუბიექტის ინტერესებიდან და აღნიშნული ობიექტის ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება გამოყენებულ იქნას პრივატიზაციის, კერძო მესაკუთრის ხელში საკუთრების უფლების გადაცემის სხვადასხვა ფორმები:

1. სახელმწიფო ქონების გაყიდვა (სრული პრივატიზაცია);
2. იჯარით გადაცემა (შემდგომი გამოსყიდვის უფლებით ან გარეშე);
3. სახელმწიფო ქონების ნაწილის აქციების სახით გაყიდვა, ან მთლიანად მისი სააქციო საზოგადოებად გადაქცევა;
4. ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ქონების შეღავათიან ფასებში გაყიდვა, ან უსასყიდლოდ გადაცემა;
5. მოქალაქეებისთვის, მათი პროფესიის მიუხედავად სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილის უსასყიდლოდ გადაცემა, საკომპენსაციო ჩეკების მეშვეობით.

სახელმწიფო ქონების გაყიდვა ნიშნავს მის სრულ პრივატიზაციას, კერძო პირისთვის ამ ქონებაზე საკუთრების განსაკუთრებული უფლების მინიჭებას.

თანამედროვე განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო საკუთრების წილი მთლიანად გამოყენებული ძირითადი ფონდების საერთო ღირებულებაში შეადგენს 5-35%-ს. საქართველოში დღეს სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება (მიწის, წიაღისეულის, ტყის, მოსახლეობის პირადი ქონების გარდა) 41,2 მილიარდი მანეთია. მათ შორის, სახელმწიფო საკუთრება 83%. მოყვანილი ციფრების ურთიერთშედარებით ნათელი ხდება, რომ საქართველოში ნორმალური საბაზრო ურთიერთობების აღმოცენებისთვის საჭიროა სახელმწიფო ქონების, სულ ცოტა, 2/3-ის პრივატიზაცია, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს ძირითადი ფონდების ღირებულების არაუმეტეს 30%-ისა. მსოფლიო გამოცდილება, მათ შორის სსრკ-ის გამოცდილება, ამტკიცებს, რომ ამ წილზე გადამეტება იწვევს არა მარტო ეკონომიკური ეფექტიანობის დაცემას, არამედ ეკონომიკურ დანაშაულობათა მკვეთრ ზრდას.

საქართველოში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული (41,2X83:100)= 34,3 მლრდ. მან. ღირებულების ძირითადი ფონდებიდან პრივატიზაციას უნდა დაექვემდებაროს $(34{,}3 \times \frac{2}{3}) = 23$ მლრდ. მან. ღირებულების ძირითადი ფონდები.

რა სახსრების ხარჯზე შეიძლება მოხდეს ამ ფონდების ათვისება?

პრივატიზირებადი ქონების შეძენისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის სახსრები:

1. ფულადი დანაზოგები (რომლებიც მოქალაქეებს აქვთ ხელზე და ბანკში);
2. კრედიტი (რომელსაც გასცემს სახელმწიფო ბანკი შეღავათიანი პირობებით და კომერციული ბანკები);
3. სახელმწიფოს მიერ გამოშვებული საკომპენსაციო ჩეკები;
4. სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების ანგარიშზე არსებული გამოუყენებელი სახსრები.

1986 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობას დანაზოგების სახით შემნახველ სალაროებში ჰქონდა 5,3 მლრდ. მან. თუ ეს თანხა მთლიანად იქნება გამოყენებული პრივატიზირებადი ქონების შესაძენად, მაშინ სახელმწიფო ქონება შემცირდება (23-5,3)=17,7 მლრდ. მანეთამდე, ანუ 23%-ით.

დარჩენილი 77% უნდა გაეცეს მოქალაქეებს, ნაწილი — კრედიტით, ნაწილი — უსასყიდლოდ საკომპენსაციო ჩეკების მიხედვით.

საკომპენსაციო ჩეკი არის უმოქმედო ფული, რომელიც ეძლევა ყველა მოქალაქეს (მუშა, გლეხი, მოსამსახურე, ინტელიგენტი, სტუდენტი, პენსიონერი და სხვ.) პერსონალურად გაანგარიშებული ღირებულების ფარგლებში. იგი გამოიყენება მხოლოდ პრივატიზირებადი ქონების შესაძენად. დასაშვებია მისი გაყიდვა, მემკვიდრეობით გადაცემა ან გაჩუქება, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე და მიზანშეწონილია ეროვნული ფულის ბრუნვაში შემოსვლის შემდეგ.

საკომპენსაციო ჩეკი არ ზრდის მიმოქცევაში ნაღდი ფულის მასას. მისი დანიშნულებაა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ამაღლება სახელმწიფო ქონების შეძენის დროს.

ლიტველი სოციალ-დემოკრატები თვლიან, რომ სახელმწიფო ქონების 20-30% ექვივალენტური საკომპენსაციო ჩეკები მოქალაქეებს უნდა გადაეცეთ უსასყიდლოდ. რუსი მეცნიერის, პ. ბუნიჩის, აზრით მოქალაქეებს უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ სახელმწიფო ქონების 50-70%. პოლონეთში მოქალაქეებისთვის საკომპენსაციო ჩეკების სახით უსასყიდლოდ უკვე გაცემულ იქნა სახელმწიფო ქონების მეხუთედი.

საკომპენსაციო ჩეკის ღირებულება ყოველი მოქალაქისთვის ცალ-ცალკე იანგარიშება. გაანგარიშების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას:

1. მოქალაქის წილი (ეს არის ჩეკის მინიმალური ღირებულება და იგი გაიცემა ყველა მოქალაქეზე ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, გაითვალისწინება მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრთა რაოდენობა);
2. შრომითი სტაჟის წილი, ანუ შრომითი წვლილის (რაც შეიტანა მოქალაქემ ეროვნული სიმდიდრის შექმნის საქმეში) წილი;
3. კომპენსაციის წილი (ძალდატანებითი ნაციონალიზაციით და რეპრესიებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალი).

მოქალაქის წილი საკომპენსაციო ჩეკის მინიმალური ღირებულების ტოლფასია და იგი გაეცემა ყოველ მოქალაქეს მიუხედავად მისი შრომითი სტაჟისა, შრომითი წვლილისა ეროვნული სიმდიდრის შექმნის საქმეში და სხვა დამსახურებებისა. ამ მინიმალური მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდიკის თაობაზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ბალტიისპირეთში, კერძოდ, ესტონეთში თვლიან, რომ საკომპენსაციო ჩეკის მინიმალური ღირებულება უნდა იყოს დადგენილი მინიმალური საცხოვრებელი ფართის შესაძენად აუცილებელი თანხის ტოლი. პ. ბუნიჩი თვლის, რომ მისი სიდიდე უნდა დადგინდეს სახელმწიფო ქონების 50-70%-ის ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, და სხვ. მიზანშეწონილია ასეთი გაანგარიშების ამოსავალ ბაზად მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო ქონების ის წილი, რაც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოსახლეობას გადაეცეს უფასოდ. შრომითი სტაჟის მიხედვით საკომპენსაციო ჩეკის ღირებულების გაანგარიშების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მასში სხვადასხვაგვარი კოეფიციენტები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოქალაქის დასაქმების სფერო, შრომის ხასიათი, შრომის პირობები და სხვა (ეს კოეფიციენტები ზოგიერთებისთვის უარყოფითი ნიშნის იქნება).

საკომპენსაციო ჩეკის ღირებულებაში უშუალოდ კომპენსაციის წილის გათვალისწინება მოხდება იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განიცადეს რეპრესიები, მორალური და მატერიალური ზარალი და სხვა (ნაციონალიზებული ქონების გარკვეული წილი მათ, ან მათ მემკვიდრეებს უნდა დაუბრუნდეთ, ისე რომ ამან არ წარმოშვას ახალი სოციალური უსამართლობა).

საკომპენსაციო ჩეკებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, აგრეთვე საბაზრო ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით მოსახლეობისათვის განკუთვნილი კომპენსაციის წილიც.

მოქალაქეებისთვის შეღავათიანი კრედიტებისა და საკომპენსაციო ჩეკების გაცემა დიდ როლს შეასრულებს სოციალური სამართლიანობის აღდგენის საქმეში. იგი იქნება 70-წლიანი ბატონობის პერიოდში საბჭოთა-პარტიული ხელისუფლების მიერ მოსახლეობისადმი მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება. ამავე დროს, იგი მნიშვნელოვნად დააჩქარებს პრივატიზაციის პროცესს, მოქალაქეებს ჩართავს საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში, რადგან ყოველი მოქალაქე სახელმწიფო ქონების გარკვეული წილის მესაკუთრე ხდება ყოველგვარი კაპიტალდაბანდების გარეშე.

საკომპენსაციო ჩეკები მოქალაქეებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი შეხედულებისამებრ. კერძოდ:

1. პრივატიზირებადი, უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა;
2. რომელიმე საწარმოს აქციის ყიდვა;
3. ეკონომიკურ ამხანაგობაში გაერთიანება მსხვილი საწარმოს, ან რომელიმე მცირე და საშუალო საწარმოს ყიდვის მიზნით;
4. სახელმწიფო, ან კომერციული ბანკისთვის გადაცემა და ჩეკის ღირებულების განსაზღვრული პროცენტის ოდენობით მყარი დივიდენდის მიღება;
5. სახელმწიფო, ან სპეციალური ფონდებისათვის გადაცემა, რომლებიც მათ გამოიყენებს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე; კერძო მეწარმეობის განვითარებისათვის, დემოგრაფიული და სხვა მწვავე პრობლემების გადაჭრისათვის.

საკომპენსაციო ჩეკების მეშვეობით შესაძლებელია გაქარწყლებული იქნას საზოგადოების გარკვეულ ნაწილში (ინტელიგენცია, სტუდენტები, პენსიონერები და სხვ.) არსებული გაუგებრობა, რაც გამოიწვია პრივატიზაციასთან დაკავშირებულმა შემდეგმა ლოზუნგმა: „ფაბრიკა, ქარხნები — მუშებს, მიწა — გლეხებს". ამ ლოზუნგის მიხედვით, ნათელია, რომ მუშას ერგება ფაბრიკა და ქარხანა, გლეხს — მიწა, მაგრამ კითხვაზე: რა ერგება მეცნიერს, მასწავლებელს, ექიმს, ხელოვანს, სტუდენტს, პენსიონერს და სხვა, იგი პასუხს ვერ სცემს და ვერც ადრე სცემდა. მას არც შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რამეთუ მასში თავიდანვე ჩადებული იყო საკუთრებით ურთიერთობათა გარდაქმნისადმი ვიწრო კლასობრივი მიდგომა. იგი გულისხმობდა ერთი მესაკუთრე კლასის შეცვლას მეორეთი, ერთი კლასის ბატონობის შეცვლას მეორეთი, საზოგადოების სხვა სოციალური ფენების ინტერესები კი ჩრდილში რჩებოდა. აღნიშნული ლოზუნგის გამოყენება, თანამედროვე პირობებში, საბაზრო ეკონომიკის ვიწრო კლასობრივი ინტერესებით შეზღუდვის ტოლფასი იქნება. იგი საზოგადოებას ემუქრება ორ საპირისპირო პოლუსად გაყოფით — კაპიტალის მესაკუთრეებად და პროლეტარებად (რომელთაც გარდა სამუშაო ძალაზე საკუთრებისა და პირადი მოხმარების საგნებისა არაფერი გააჩნიათ).

საკომპენსაციო ჩეკების საშუალებით პრივატიზაციის მიზანია არა ერთი მესაკუთრე სუბიექტის ფორმალური შეცვლა მეორეთი, არამედ ყოველი მოქალაქის გადაქცევა მესაკუთრედ. ეს არის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველაზე მოკლე და მარტივი გზა. მისი მეშვეობით შესაძლებელია საბაზრო ურთიერთობაში მოქალაქეთა მასობრივი ჩართვა. იგი ყველა მოქალაქისთვის ქმნის თანაბარ სასტარტო პირობებს თავიანთი ნიჭისა და უნარის გამოსავლინებლად მეწარმეობის საქმეში.

საკომპენსაციო ჩეკების სისტემით ყოველ მოქალაქეს სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილის გარანტირებული შეძენის საშუალება ეძლევა. ამით, იქმნება წინაპირობა საზოგადოების მასობრივი ეკონომიზაციისათვის მაგრამ იგი არ იქნება ხანგრძლივი. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში გაირკვევა, რომ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საკუთრების გამოყენება ყველა მოქალაქეს არ ძალუძს. ისინი იძულებული იქნებიან საკომპენსაციო ჩეკებით შეძენილი ქონების მართვა მიანდონ დაქირავებულ მენეჯერებს, ან ეს ჩეკები დააბანდონ ბანკში და სხვა. ამის შედეგად, ეკონომიკაში პროფესიონალი მეწარმენი მოიკიდებენ ფეხს, მაგრამ ეს, სრულებითაც არ შეუშლის ხელს ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების საფუძვლის, კერძო საკუთრების უფლების რეალიზაციას.

ამრიგად, არ არის აუცილებელი ერთდროულად იყო რაიმე ქონების მესაკუთრე და უშუალოდ მართავდე მას, ან მუშაობდე იქ. ამიტომაც სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოების, პრივატიზაციის დროს ლოზუნგი: „ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს, მიწა — გლეხებს" არა თუ არ ასრულებს რაიმე დანიშნულებას, არამედ დისონანსიც კი შეაქვს საზოგადოებაში.

ყველა მოქალაქისთვის სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილის უსასყიდლოდ გადაცემა გარდა იმისა, რომ ქმნის მათთვის თანაბარ სასტარტო პირობებს, ემსახურება სხვა მიზანსაც: შეუმსუბუქოს მოსახლეობას საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდით გამოწვეული დროებითი ეკონომიკური სიძნელეები (ფასების ზრდა, უმუშევრობა), რათა ამ პროცესმა მათზე უარყოფითად არ იმოქმედოს და ზურგი არ შეაქციონ მას.

პრივატიზაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა: სახელმწიფო საწარმოს იჯარით გადაცემა, აქციების გავრცელება, ან საწარმოს გადაქცევა სააქციო საზოგადოებად უნდა იყოს ნებაყოფლობითი. პრივატიზაცია მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების, ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევის მიზნით, ან კიდევ მისი თვითმიზნად გადაქცევით შეიძლება საზოგადოებას შემოუბრუნდეს ახალი უბედურებით.

პრივატიზაციის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტი, რომ არსებობს ადამიანთა გარკვეული კატეგორია, რომელთაც დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს. მათ არა აქვთ არც სურვილი და არც უნარი რისკის გაწევისა, რაც დაკავშირებული იქნება თავიანთი ფულადი დანაზოგით, ან კრედიტით სახელმწიფო საწარმოს აქციების ყიდვასთან, იჯარით აღებასთან, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, თუკი, საქმე ეხება მორალურად და ფიზიკურად მოძველებულ საწარმოებს, ტექნიკას, და სხვ. პრივატიზაციით ენიჭება რა ადამიანს სახელმწიფო ქონების გარკვეულ ნაწილზე საკუთრების უფლება, ამასთან ერთად, გარკვეული პასუხისმგებლობაც ეკისრება ამ ქონების მოვლისა და გამრავლებაზე ზრუნვის სახით. ბუნებრივია, ადამიანთა ნაწილი თავს აარიდებს ამ პასუხისმგებლობის თავის მხრებზე გადატანას, რამეთუ მათ აკმაყოფილებთ ისიც, რომ სამუშაო ძალაზე საკუთრების უფლების რეალიზაციის საშუალება აქვთ და კმაყოფილნი არიან თავიანთი ბედით. ამიტომაც არ ინტერესდებიან საბაზრო ურთიერთობებში უფრო ღრმა ჩართვით.

მოქალაქეთა ნაწილი, რომელიც პასიური იქნება საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის მიმართ, ადრე თუ გვიან, მაინც მათი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდება.

პრივატიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა არის სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემა. ეს არის შრომის ორგანიზაციების ისეთი ფორმა, რომელიც აძლიერებს მუშაკის დაინტერესებას შრომის საბოლოო შედეგებით, მაგრამ ვერ ქმნის საკმაოდ მოტივირებულ ეკონომიკურ სუბიექტს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქონება იჯარით არის გაცემული გამოსყიდვის უფლებით. ვინაიდან ქონებაზე საკონტროლო პაკეტის მოპოვებისათვის სულ მცირე 10 წელია საჭირო, ხოლო სრული გამოსყიდვისთვის კი — 20-30 წელი. ამ ხნის განმავლობაში ეკონომიკური სუბიექტი წარმოების დაუინტერესებელ მორჩილად რჩება. მსოფლიო გამოცდილება ამტკიცებს, რომ იჯარის ფართო მასშტაბით გამოყენება არა მხოლოდ ნაკლებნაყოფიერია, არამედ განსაკუთრებულად კრიმინოგენულიც.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა დიდად იქნება დამოკიდებული პრივატიზაციის ტემპებზე. პრივატიზაცია უნდა ჩატარდეს უმჭიდროეს ვადებში (1-2 წელი). პრივატიზაციის ტემპები არსებითად დამოკიდებული იქნება: 1. ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე; 2. საქართველოს ეროვნული სიმდიდრის აღწერასა და შეფასების ვადებზე, პრივატიზირებადი ქონების ფასებზე; 3. საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ფიქსირებაზე; 4. ეროვნული ფულის შემოღების ვადებზე (პრივატიზირებადი ქონების მასობრივი გაყიდვა მანეთებზე არაა გამართლებული, რამეთუ მანეთის სასაქონლო უზრუნველყოფა დაბალია).

პრივატიზაციის ძირითადი ეკონომიკური ფაქტორებია: 1. თუ ბაზარზე პრივატიზირებადი ქონების მიწოდება ბაზრის მოთხოვნაზე დაბალია (ფასი მაღალია), მაშინ პრივატიზაციის ტემპებიც დაბალი იქნება და პირიქით (პრივატიზაციის დაჩქარება შეიძლება ფასების დაწევით, მაგრამ ამით „ზედმეტი" ფულის დასაქონლება შეფერხდება);

2. საქონლის (წარმოების საშუალებების) ბაზრის ჩამოყალიბება. (რესურსების უკმარისობა შეაფერხებს კერძო მეწარმეობის ფართო განვითარებას);

3. ფასების თავისუფლების ხარისხი (კერძო მეწარმეობის თავისუფალი განვითარების ტოლფასია);

4. საგადასახადო პოლიტიკა (დაბალი გადასახადები სტიმულს აძლევს კერძო მეწარმეობას და პირიქით).

პრივატიზაციის დროული და ეფექტიანი ჩატარება დიდად იქნება დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის, კერძოდ საკრედიტო სისტემის შექმნასა და მის მოქნილ მუშაობაზე, ეროვნული ვალუტის ბრუნვაში გაშვებაზე და სხვა.

პრივატიზირებად ქონებაზე ფასის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საბაზრო მოთხოვნა — მიწოდების თანაფარდობა და ქონების ექსპლუატაციიდან შესაძლო შემოსავლის სიდიდე.

ლიტვის მთავრობის მიერ სახელმწიფო საწარმოების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ქონების გაყიდვის ერთ-ერთ ფორმად მიჩნეულია ღია აუქციონი. მიზანშეწონილი იქნება საქართველომაც ეს ფორმა გამოიყენოს. თუკი, ინდივიდს აქვს თავისუფალი ფულადი სახსრები, შესაძლებლობა უნდა მიეცეს დამატებით შეიძინოს ესა თუ ის სახელმწიფო ქონება, გაადიდოს თავისი კაპიტალი (რაც ერგო უსასყიდლო განაწილების შედეგად).

ღია აუქციონი არის გზა, ჩრდილოვან ეკონომიკაში დაგროვილი [illegible] დღის სინათლეზე გამოსვლისათვის. ამავე დროს, იგი შეიძლება იქცეს საქართველოს მომავალი [illegible] მეწარმეებისათვის [illegible] „გენეტიკური მემკვიდრეობის" გადაცემის გზადაც, რომელიც სტიმულს აძლევს საქმის [illegible] და არა [illegible] მეთოდებით გაძღოლას.

[illegible] კეთილსინდისიერების ნორმების ცხოვრებაში დამკვიდრების [illegible] სამუშაო, საზოგადოების [illegible] აღზრდა უპირველესი [illegible] ყველასთვის ნათელი უნდა გახდეს, რომ საბაზრო ეკონომიკა [illegible] არ ქმნის კეთილსინდისიერი საქმიანობის ეთიკას, არამედ მყარი ზოგადსაკაცობრიო მორალი ქმნის ეთიკას, რომელიც ამკვიდრებს ეკონომიკურ ცხოვრებაში თავისუფალი და წესიერი მეურნეობრიობის ნორმებს.

აბდი ბერიძე

დასასრული.

დასაწყისი იხ. № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა სჭირდება ქართულ კინოს?

**1. არსებული კინოსტრუქტურა, კინოწარმოებაც და კინომმართველობაც, ბრეჟნევის ხანაში ჩამოყალიბდა. მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ცვლილებების შეტანა ამ სტრუქტურაში?**

**2. როგორ უნდა შეიცვალოს, თქვენის აზრით, ეს სტრუქტურა?**

**3. წელს სახელმწიფომ 10 მილიონი მანეთი გამოყო კინოსთვის. რაზე უნდა დაიხარჯოს ეს თანხა?**

**4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ კინო დოტაციაზე უნდა იყოს?**

## კინორეჟისორი ომარ გვასალია

1. თანამედროვე საბჭოთა კინოს სტრუქტურა არ ჩამოყალიბებულა ბრეჟნევის დროს. იგი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ლენინის დროს. მაშინ მოხდა კინოს გასახელმწიფოებრივება. მას შემდეგ ეს სტრუქტურა ცოცხლობს მისთვის დამახასიათებელი კანონებით. ეს კანონები ზოგჯერ მკაცრდება („სტალინის დრო“), ზოგჯერ კი სუსტდება (ხრუშჩოვის დროის დასაწყისი, გორბაჩოვის დროის დასაწყისი). ამ თავსმოხვეულ სტრუქტურაში ქართულმა კინომ მოახერხა ეროვნული სახის მეტნაკლებად შენარჩუნება. ქართულმა კინომ ეს მოახერხა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავის საუკეთესო გამოვლინებებში მუდამ იდგა ეროვნული კულტურის მტკიცე საფუძველზე. მას არ მიუღია მონაწილეობა საკუთარი ხალხისათვის გზაკვალის აბნევის მცდელობაში, რისი მაგალითებიც უხვად მოიპოვება საბჭოურ კინოში (ლენინიანა, ფილმები მგზნებარე, პატიოსან და ბავშვთა მოყვარულ ჩეკისტებზე, კოლექტივიზაციაზე და ა. შ.).

ქართული კინოს შეშვეობით მსოფლიოს მრავალმა მაყურებელმა პირველად გაიგო საქართველოს არსებობის შესახებ, პირველად გაიცნო ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათი და ნიშანთვისებები.

2. საჭიროა თუ არა დღეს ქართული კინოს საწარმოო სტრუქტურების გარდაქმნა? ალბათ, საჭიროა, მაგრამ არა ელვისებური სისწრაფით. ელვისებური სისწრაფე გამოსადეგია ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

საკუთარი სახლის გადაკეთების დროს, ვფიქრობ, სიდინჯე გვმართებს. დარწმუნებული ვარ, დღეს და ახლო მომავალში სტუდიამ უნდა შეინარჩუნოს მთლიანობა (ერთი საბანკო ანგარიში, ერთი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა). სტუდიის დირექტორის საქმიანობის სრულყოფის და აგრეთვე მისი გაკონტროლების მიზნით მასთან უნდა შეიქმნას არჩევითი სამხატვრო კოლეგია, ერთიანობა სტუდიას სჭირდება საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული სიძნელეების დასაძლევად (იხ. იგივე მამაზე, რომელმაც შვილებს ისრების კონის გადამტვრევა შესთავაზა და ა. შ.).

სამთავრობო დოტაციაზე არსებულ კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ ერთად და მისგან სრულიად დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს მრავალი კერძო და კოოპერატიული სტუდია, რომლებმაც უნდა გამოიჩინონ ინიციატივა, იმუშაონ, რათა შექმნან დამატებითი საწარმოო სიმძლავრეები. არ არის გამორიცხული, რომ დამოუკიდებელი სტუდიები გაერთიანდებიან ასოციაციებში, ან რამე სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევლენ ერთმანეთთან, ბუნებრივია, მათ მოუწევთ კონკურენტული ბრძოლაც. იმედია, ამ ბრძოლაში გაიმარჯვებენ უფრო ნიჭიერი და საქმიანი ხალხით დაკომპლექტებული სტუდიები.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ კინოსტუდია — „ქართული ფილმი“ რჩება ჯანსაღი კონკურენციის პირობების მიღმა. პირიქით, „ქართულ ფილმში“ კონკურენცია იმუშავებს ორ დონეზე. პირველი დონე — შიდა სასტუდიო კონკურენცია გადამღებ ჯგუფებს შორის და მეორე დონე — კონკურენცია პატარა, მაგრამ ცხოვრებისუნარიან დამოუკიდებელ სტუდიებთან.

3. საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი 10 მილიონი მანეთიდან უდიდესი ნაწილი უნდა დაიხარჯოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასამტკიცებლად. დღეს შესაძლებელია მანეთად ვიყიდოთ იმდენივე საქონელი, რაზეც ხვალ თუმანი დაგვეხარჯება (საბჭოური ავტომანქანები, კინოსაპროექტო აპარატურა და ა. შ.).

4. საქართველოს კინოწარმოება კიდევ დიდხანს ვერ შესძლებს თვითდაფინანსებაზე გადასვლას, თავს ნუ მოვიტყუებთ. სახელმწიფო დოტაცია ესაჭიროება ფრანგულ, შვედურ, დანიურ და კიდევ მრავალ სხვა ეროვნულ კინემატოგრაფიებს. რესპუბლიკამ ან უნდა შეინახოს და დაიცვას ეროვნული კულტურის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილი, ან უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ქართული კინო, როგორც თვითმყოფადი ფენომენი, აღარ იარსებებს.

## კინორეჟისორი გიორგი შენგელაია

1. არსებული კინოსტრუქტურა, ჩემის აზრით, ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს. საქმე ისაა, რომ იგი საბჭოთა სისტემის წარმონაქმნია და მასში ჩადებულია ყველა ის პარამეტრი, რომელიც საერთოდ იყო ჩადებული საბჭოთა სისტემაში — ის ძირითადი მარქსისტული პრინციპი, რომლის საფუძველზეც წარმოების საშუალებები გასახელმწიფოებრივებული იყო, სახელმწიფოს კი თავისი გარკვეული დოქტრინა ჰქონდა (ამ შემთხვევაში კომუნისტური). ცხადია, ამ მხრივ, კინოს მეტად მნიშვნელოვანი სა[illegible]ურის გაწევა შეეძლო საბჭოთა სისტემისთვის და აკი გასწ[illegible]დეც — უშურველად ილვაწა [illegible] კომუნისტური იდეალებით [illegible] სააგიტაციოდ. [illegible] ითქვას, რომ მაშინ არა[illegible] მნიშვნელობა არ ჰქონდა [illegible] ფილმის მხატვრულ ღირებულ[illegible] მთავარი იყო მისი იდეოლ[illegible] მხარე. ეს პრინციპი მკაც[illegible]ტროლს ექვემდებარებოდა. [illegible] გავითვალისწინებთ საბჭოთა [illegible] დაბალ სოციალურ, [illegible] და ინფორმაციულ [illegible], დავინახავთ, რომ სა[illegible] მაყურებელი ფილმების [illegible] ყველაფერს [illegible] ღებდა.

ასე ჩამოყალიბდა და დაიხვეწა საბჭოთა კინოსისტემა, რომელშიც მთავარი ფიგურა იყო რედაქტორი + ჩინოვნიკი. დიალოგი, რომელიც — იმართებოდა ამ რედაქტორ-ჩინოვნიკსა და ფილმის შემქმნელთა შორის, ძირითადად, იდეოლოგიას ეხებოდა. ცხადია, ფილმის მხატვრულ მხარეზედაც გვქონდა საუბარი, მაგრამ ეს, გულახდილად რომ ვთქვა, მხოლოდ ფორმალური საუბარი იყო და სხვა არაფერი. როდესაც საბჭოთა სისტემა ჯერ კიდევ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული (სტალინიზმის კულმინაციამდე არ იყო მისული), მეტნაკლებად საინტერესო ფილმები მაინც შეიქმნა საბჭოთა კინოში. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ იმ ხალხს, ვინც მაშინ იღვწოდა კინოში, დიდი კულტურა ჰქონდა XIX საუკუნიდან გადმოყოლილი, ამიტომაც გვაქვს მთელი ხელოვნების ნიმუშები საბჭოთა თემაზე გადაღებულ კინონაწარმოებთა შორისაც. სტალინიზმის განვითარების დროს კინოში ხელოვანთა ახალი ფორმაცია წამოვიდა, რეჟისორები გახდნენ, პირობითად რომ ვთქვათ, სოფლიდან და მუშათა წრიდან წამოსული ხალხი. მათ ის კულტურა, XIX საუკუნის, უკვე აღარ ჰქონდათ და ამიტომ [illegible] იდეას [illegible]. შემდეგ კი, 60-იან წლებში, მეც ამ თაობას ვეკუთვნი, რაღაც პატარა ძვრა მოხდა, ოდნავ შესუსტდა იდეოლოგიური მარწუხები. ეს ხელისუფლების სათავეში ხრუშჩოვის მოსვლასთან იყო დაკავშირებული. ეს ის პერიოდია, როდესაც კინოხელოვნებაში ჩემი თაობის რეჟისორების მიერ რაღაცა მაინც შეიქმნა და სწორედ ეს კინო არსებობს ახლა მსოფლიო კინოს კონტექსტში, როგორც არსებობდა მუნჯი კინოს საბჭოთა საუკეთესო ნიმუშები. ახლა ძირფესვიანად უნდა შევცვალოთ კინოს სისტემა. ჩვენ დავიწყეთ კიდევაც ამის გაკეთება. ახლა რატომ უნდა შეიცვალოს კინოს სისტემა? უპირველესად იმიტომ, რომ უნდა შეიქმნას ისეთი სტრუქტურა, სადაც ჩაიდება მეტი შემოქმედებითი თავისუფლება, სადაც ის ფიგურა, სახელმწიფო რედაქტორი + ჩინოვნიკი, ამოღებული იქნება. თუმცა მე არ უგულვებელვყოფ იმას, რომ ხელოვანს გარკვეულ პირობებში, ალბათ, ყოველთვის ექნება საქმე ვიღაც დამკვეთთან. კინო არსებითად განსხვავდება, დავუშვათ, მუსიკის, ფერწერისა და ლიტერატურისგან, სადაც ის შემოქმედებითი ფასეულობა, რომელიც საჭიროა ამ რიგის ხელოვნების ნაწარმოებთა შესაქმნელად, არაფრად არ ფასობს — კომპოზიტორს სჭირდება პარტიტურის, ვთქვათ, 10 ფურცელი, მწერალს — სულაც ცარიელი ფურცელი, კინონაწარმოების შესაქმნელად, სამწუხაროდ, საჭიროა ბევრი ფული, ამიტომ მე არ წარმომიდგენია იდეალშიც კი ისეთი კინოს სისტემა, რომელსაც არ ეყოლება დამკვეთი.

დღევანდელი რეალობა იქით მიდის, რომ ჩვენ საბოლოოდ უნდა გადავიდეთ, ე. წ. კერძო საკუთრებაზე. ვფიქრობ, საქართველო, ალბათ, ამას ძალიან მალე გააკეთებს. მე მთლიანად ვიზიარებ ეროვნულ დემოკრატების (ქედია და სხვანი) პროგრამას. იქ პირდაპირ ჩადებული იყო, რომ კერძო საკუთრება არის ერის სულიერი გაჯანსაღების საფუძველი. არავის არ ეწყინოს, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური პარტიები ჯერჯერობით გარდამავალი პერიოდის, ე. ი. სოციალიზმის მსხვრევისთვის მოწოდებული პარტიებია და მე ამას აბსოლუტურად ვიზიარებ, ეს პროცესი უნდა გავიაროთ, მაგრამ ახალიც, აღმშენებლობითი პოლიტიკური აზროვნებაც უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენში. საზოგადოებაში უნდა შეიქმნას გარკვეული ცენზის მქონე ფენები, რომლებიც ჩამოაყალიბებენ თავის პოლიტიკურ კრედოს და მხოლოდ ამის მერე მივიღებთ ნამდვილად მრავალპარტიულ სახელმწიფოს. როდესაც პოლიტიკურად დავამსხვრევთ სოციალიზმს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ჩვენთან აუცილებლად მოხდება, ეს არის ერთადერთი გზა.

2. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დღეს ჰყავს ეროვნული მთავრობა, ჯერჯერობით კინოსტრუქტურა იგივეა, რაც იყო სოციალიზმის დროს. ე. ი. სახელმწიფო ჩვენ გვაძლევს ფულს. განსხვავება ისაა, რომ ამ ფულს ჩვენ ახლა საქართველოს ეროვნული მთავრობა გვაძლევს. არა აქვს მნიშვნელობა რა დოქტრინა აქვს მთავრობას, ის გვეუბნება: აი მე გაძლევ ფულს და შენ, ასე ვთქვათ, ჩემი იდეები უნდა გაატარო. ჯერჯერობით, ალბათ, ისევ ჩინოვნიკის მეშვეობით ცდილობს მთავრობა ამის გაკეთებას. მაგრამ მომავალში ჩვენ მაინც უნდა გადავიდეთ საბაზრო ურთიერთობებზე, სახელმწიფო სისტემიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლა ერთბაშად არ უნდა გაკეთდეს, ამან შეიძლება ფსიქოლოგიური სტრესიც კი გამოიწვიოს. ვერც კინოხელოვანები და ვერც თვითონ კინოწარმოება უცებ ვერ გადახტება ახალ სისტემაზე. ამიტომ, ჩვენ სტუდიაში დავამუშავეთ მოდელი, სადაც ნაგულისხმებია გარდამავალი პერიოდი.

სახელმწიფო, მოგვცემს რა დოტაციას, დაინტერესებული იქნება, რასაკვირველია, დოტაციით რას გავაკეთებთ. მაგრამ თუ ამაზე გავჩერდით, თუნდაც რომ შევთანხმდეთ ფილმის შინაარსზე და მის მხატვრულ მხარეზე, თვითონ სტრუქტურაა თავისთავად შიგნიდან მკვდარი. აქ უკვე ლაპარაკია იმაზე, თუ ვინ არის ის კაცი, სახელმწიფოს წარმომადგენელი, ვინც უნდა გადაწყვიტოს ფილმის ბედი. დავუშვათ, იდეალური პიროვნებაა, მაგრამ არ უნდა მოხდეს მისთვის მთელი უფლებების დელეგირება. ჩვენ გვინდა ახალ სტრუქტურაში ჩავდოთ ისეთი რამ, რომ მომავალში მას უკვე ჰქონდეს საშუალება ამ დოტაციიდანაც განთავისუფლდეს. ეს მორალური ამოცანაა. ქართველ ხალხს დღეს ძალიან უჭირს. კინო კი სთხოვს სახელმწიფოს, დავუშვათ, 10 მილიონს. ეს საერთოდ ძალიან ცოტაა, იმიტომ, რომ ფასები კატასტროფულად იზრდება. ეს ფაქტობრივად 5-6 სურათის ფულია. ჩვენ კი 18 სურათი უნდა გავაკეთოთ. მაგრამ მე პირადად ვთვლი, რომ თუ კარგად წავიყვანეთ საქმე, ეგებ მომავალში გავათავისუფლოთ კიდეც სახელმწიფო ამ დოტაციისგან. არის მეორე პრობლემაც. ბოლო ხანებში ისე მოხდა, რომ ჩვენი კინოსტუდია ძირითადად მაღალმხატვრული ფილმების კინოსტუდია იყო და არ იყო ორიენტირებული სალაროზე. დოტაცია, ძირითადად, გვჭირდება არა იმიტომ, რომ სოციალურად გადავრჩეთ და უმუშევარნი არ დავრჩეთ, არამედ იმიტომ, რომ გავაგრძელოთ მაღალმხატვრული ფილმების კეთება. არის კიდევ ერთი საკითხი. თეორიულად თუ შეუძლია ქართულ კინოს მოიტანოს შემოსავალი? არის ზოგადი პარამეტრები, მაგალითად, ბელგიას, ნიდერლანდიას, კინო არა აქვს, რადგანაც იქ დაახლოებით 7, 8, 10 მილიონი მოსახლეობაა, რაც არ ყოფნის ფილმის ანაზღაურებას. 20-30 მილიონი მოსახლეობა იძლევა შესაძლებლობას იმდენჯერ დაატრიალო სურათი, რომ დააბრუნო ის თანხა, რაც დაიხარჯა გადაღებაზე. ახლანდელმა პოლიტიკურმა გარემომ მოიტანა ის, რომ დავიწყოთ რეფორმები. კინოს მმართველი აპარატი, ჩემის ღრმა რწმენით (მე მგონი ამაზე უკვე ვთანხმდებით მთავრობის წარმომადგენლებთან), უნდა გახდეს სახელმწიფო-საზოგადოებრივი. აუცილებლად გვექნება რაღაცა კომპეტენტური სასელექციო საბჭო, რომელიც გადაწყვეტს რომელ სცენარს, რომელ რეჟისორს უნდა მიეცეს ეს ფული. იდეალური დოქტრინაც რომ არსებობდეს და უთხრათ კაცს, რომ მარტო ამ დოქტრინის მიხედვით აკეთოს ფილმი, თქვენ თვითონვე გაღარიბდებით, თქვენც ხომ უნდა მიიღოთ ქვევიდან რაღაცა სტიმულები. აი ასეთ სისტემაზე გვინდა გადასვლა. ერთი რამე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ხალხი ფსიქოლოგიურად ჯერ-ჯერობით სოციალიზმში ცხოვრობს, ამიტომ ამ რეფორმას უნდა უბიძგოს პროგრესულად განწყობილი ადამიანების რაღაცა ჯგუფმა. უნდა ვენდოთ მათ და, ვფიქრობ, შესძლებენ ეკონომისტებთან ერთად თავი დაადგან ამ საქმეს. მითუმეტეს, რომ ეკონომიკურად უკვე ჩანს ეს სისტემა, მათემატიკური მოდელი ჩანს. ახლა მთავარია ჩვენმა საზოგადოებრიობამ თქვას: მოდით, გარკვეული რისკი გავწიოთ და გადავდგათ ეს ნაბიჯი. საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგია ისეთია, რომ მას უჭირს რისკის გაწევა. ჩვენც უნდა რისკი გავწიოთ, მაგრამ რაღაც დამცველი მექანიზმები შევინარჩუნოთ, რომ ფსიქოლოგიური სტრესი არ მოხდეს.

3. წელს გამოიყო 10 მილიონი მანეთი, ყოველწლიურად დაახლოებით ამდენ თანხას ვთხოვთ მთავრობას. ჯერ ერთი, ჩვენ ხომ ნულიდან არ ვიწყებთ, მართალია, ახალ სისტემაზე გადავდივართ, მაგრამ აგერ ძველი სისტემიდან, დავუშვათ, გვაქვს ხუთი სცენარი. ეს სცენარები უნდა ჩავუშვათ, სტუდია რომ არ გაჩერდეს. გარკვეული ხნის მერე, ვფიქრობ, იქნება ცალკე შემოქმედებითი სტუდიები. სტუდია თვითონ ორგანიზმია. იქ უნდა დაიგეგმოს სამუშაო, უნდა იცოდე რას იღებ წელს, რას — მომავალ წელს, რადგან ესა თუ ის ფილმი თუ ჩავარდა, მეორემ უნდა ამოქაჩოს და ა. შ. ახალი მოდელის დამტკიცების მერე გვექნება, ალბათ, რაღაცა პატარა, როგორც ამბობენ სათავნო ფული. კაცი საქმეს რომ იწყებს სათავნო ფული და სათავნო დრო მიეცემა. ამ სტუდიასაც მიეცემა რაღაცა თანხა, სადაც ალბათ, გათვალისწინებული იქნება მინიმალური სასცენარო ხარჯებიც, იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სცენარი ზეპირად შევუკვეთოთ კაცს, 25 პროცენტი მაინც უნდა გადავუხადოთ. ამ მონაკვეთს აუცილებლად გავივლით, შემდეგ უკვე რეალურად გადავედით ახალ სისტემაზე, ე. ი. ყველა სტუდია შეიმუშავებს სცენარს, სცენარის შემუშავებაში და მისი თემის არჩევაში არავინ არ ჩაერევა. თუმცაღა სახელმწიფოს შეუძლია მთლიანად ამ სტრუქტურას სთხოვოს: პოლიტიკური თვალსაზრისით მიგვაჩნია, რომ საჭიროა ასეთი და ასეთი ფილმის გადაღება და კარგი იქნება, ამას თუ გააკეთებთ, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მითითებული სცენარი და რეჟისორი. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ ეს უკვე დიქტატია. ვიმეორებ, ძალიან ხშირად დამკვეთის ინტერესებს შეხვდება ქვემოდან მოსული წინადადებები! წარსულში ჩვენ გვქონდა ბევრი ისეთი სურათი, რომელმაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი ეროვნულ მოძრაობას, ამას ხაზს ვუსვამ. გაკეთდა ისეთი სურათები, როგორიცაა, „ცისფერი მთები“, ანდა აბულაძის „მონანიება“, ან ჩემი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, ესაა ოთარ ჩხეიძის „ბორიაყის“ მიხედვით გაკეთებული სურათი. ასე რომ, დამკვეთს ჩვენი შიში არ უნდა ჰქონდეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ ჩვენი და დამკვეთის ინტერესები შეხვდება ერთმანეთს.

4. საბოლოოდ უნდა დარჩეს თუ არა კინო დოტაციაზე? ამის გადაჭრით თქმა ძალიან ძნელია. ბევრ ქვეყანაში კინო არ არის დოტაციაზე. იქ კინოს ფასეულობას მაყურებლის მოთხოვნა არეგულირებს. რეჟისორი იქ თავისუფალია, მან შეიძლება უცებ ისეთი ნაწარმოები შექმნას, რომ მაყურებელსაც მოეწონოს და მაღალმხატვრულიც იყოს, მაგრამ მე დავიწყე ლაპარაკი პატარა ქვეყნებზე. არის ისეთი პატარა ქვეყნები, როგორიც შვეცია და ფინეთია. ისინი მიხვდნენ, რომ მათი კინო ილუპება, არსად მაყურებელი არ ჰყავს არც შინ, არც გარეთ. აქვთ შვედებს და ფინელებს ასეთი პარამეტრი — ნელი კინო, შვედური კინო ნელი კინოა. ხომ არ შეეძლო მთავრობას ეს სინელე რაღაცა დირექტივებით დაერეგულირებინა. ეს შვედი კაცის და ფინელი კაცის ხასიათია, ამიტომ ჩადეს ამაში ფული და დოტაციით ახერხებენ ამ სინელის კომპენსაციას. ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი, ასე ვთქვათ, სიმცირე მსოფლიოში ამ გზით დავძლიოთ. ადრე თუ რუსეთი ჩვენს სურათებს უყურებდა, ახლა იგი თვითონ გახდა ჩვენი კონკურენტი. იგივე ითქმის ყაზახეთზე. და ყირგიზეთზე, მათ უკვე აღარ უნდათ, ჩვენი ფილმების ჩვენება. ადრე ზემოდან უბრძანებდნენ, რომ გაეშვათ ქართული სურათი ხალხთა მეგობრობის სადემონსტრაციოდ და ასე რაღაცნაირად ვითქვამდით სულს. ახლა კი გვექნება მხოლოდ შინაური ბაზარი და რაღაცა შანსი სხვა კინემატოგრაფებთან კონკურენციისა, რომელიც ჯერ არ არის ზუსტად გამოთვლილი. ამიტომ დოტაცია საჭიროა და ჩვენც შვეციისა და ფინეთის გზით სიარულს ვერ ავცდებით. რამდენად დიდხანს გაგრძელდება ჩვენი დოტაციაზე ყოფნა, ამას დრო გვიჩვენებს. რამდენად მორალურია, — ამაზედაც მოგახსენეთ. საბოლოოდ უნდა ვეცადოთ, რომ გავათავისუფლოთ ჩვენი დღესდღეობით ღარიბი მთავრობა დოტაციისგან. ერთი რამეცაა: ჩვენ, საქართველოს, არა გვაქვს დღეს მატერიალური ფასეულობები, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას გასწევენ. ქართული კინო კი მეტ-ნაკლებად კონკურენტულია ჯერჯერობით ჩვენს საზღვრებს გარეთ. მთავრობამ [illegible] კი უნდა გვაძლიოს დოტაცია, რომ ეს ფასეულობა შევინარჩუნოთ, ჩვენივე ქვეყნის, ქართული ხასიათის და სულის [illegible]. საქართველოში ხელოვნება არ უნდა მოკვდეს, იმიტომ, რომ მაშინ საერთოდ ძნელად ამოსაცნობად დავრჩებით. შეიძლება მერე ჩვენც მივაღწიოთ სხვა დარგებში დიდ წარმატებებს, მაგრამ ახლა რაც გვაქვს, და მე აქ ქართულ ხელოვნებას ვგულისხმობ, ის უნდა გადავარჩინოთ, ძალიან ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. თუმცაღა, ყველამ ერთად, რასაკვირველია, უნდა ვიფიქროთ — ვის შეიძლება ქართველი ხელოვანი ერქვას! ეს არის ჩემი სათქმელი.

**პრობლემა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოხმაურება

# მართლაც, „ვაი, ეგეთას სამართალს“

„თუ ადამიანს თავისი ვინაობა არად მიაჩნია,
მაშ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა?“

**ი. ჭავჭავაძე**

გაზეთში „თავისუფალი საქართველო“ (№5, 22/II-91 წ.) გამოქვეყნდა ბატონ ა. არაბულის წერილი სათაურით „ვაი, ეგეთას სამართალს“, რომლის შესავალ ნაწილში სამართლიანადაა დაგმობილი ძმათა შორის შუღლი, მისი დამღუპველი ზემოქმედება ერისა და ქვეყნის ერთიანობაზე. მართლაც, რომ (როგორც თვით ა. არაბული ბრძანებს) ნებისმიერ გაუაზრებელ და მეცნიერულად დაუსაბუთებელ თვალსაზრისს ძალზე ხშირად „საბედისწერო გავლენის მოხდენა შეუძლია კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის შეგნებისა და განწყობილების ჩამოყალიბებაზე“.

იგივე პოზიციაზე მტკიცედ დგას გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქციაც, როდესაც წერს „...როცა მეცნიერული უმეცრება სიმართლის დამდგენის პოზიციას აცხადებს და, სინამდვილეში, ციხის შიგნიდან გატეხვის უკეთურ საქმეს ემსახურება, შხამსა და სამსალას თესავს ძმათა შორის. თუ ცხელ კვალზე არ ვამხელთ და საბოლოოდ არ ავლაგმავთ მსგავსი სულისკვეთებით გაჟღენთილ ნაშრომების ავტორთა თავაშვებულ თარეშს, ჩვენი ისედაც უღრესად დაძაბული საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო აირევა და აიწეწება“.

ღრმად გვწამს, რომ დღეს საქართველოში ვერ მოიძებნება ვერც ერთი სალად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ცალსახად არ გაიზიარებს ზემოთ გამოთქმულ ჭეშმარიტ მოსაზრებებს, მაგრამ ნათქვამია: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. ამიტომ მივყვეთ ბატონ ა. არაბულის წერილის ტექსტს ან უფრო კონკრეტულად — შევეცადოთ გავაანალიზოთ მისი წერილის დედაარსი, თუ რა ნესტარითაა იგი ნაჩხვლეტი. აი, რისთვის „მოუხვლეგია“ ა. არაბულს ა. შავხელიშვილის მონოგრაფიის „თუშეთის“ განილვისას „...მთელი ეს მსჯელობა იქითკენაა მიმართული, რომ ავტორმა წოვები ოდითგან თუშეთში მოსახლე ადგილობრივ ეთნოსად გამოაცხადოს და წაშალოს ყოველგვარი კვალი მათი ჩაჩანინგუშური წარმომავლობისა“.

...ნუთუ ეს დანაშაულია.?!

ბატონო ამირან, ხომ არ დაფიქრებულხართ, რომ თქვენს მიერ „მივლეულ“ წოვების წარმომავლობას სჭირდება ღრმა მეცნიერული დასაბუთება და სრულიადაც არ არის საკმარისი მრავალი ტიტულოვანი მეცნიერისათვის ბოლომდე ამოუხსნელი პრობლემის გადაწყვეტა ვარაუდებზე დაყრდნობით, მაგალითად, როგორც ეს გააკეთა ვ. ელანიძემ დოქტორის ხარისხის მიღების მიზნით. თუმცა მან თავის დროზე უარყო საკუთარივე „მეცნიერული აღმოჩენა“ — წოვა თუშების ჩაჩან-ინგუშური წარმომავლობა (იხ. გაზეთი „კომუნისტი“, №71 (20412), 26/III-89 წ.) და რამდენ დასანანია, რომ ვ. ელანიძის მონოგრაფია „თუშეთის ისტორიის საკითხები“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988 წ.) ხალხისა და ისტორიის კუთვნილება გახდა, როგორც მეცნიერების „ხელთუქმნელი ძეგლი“. და ვინ იცის, რა დროისათვის ჩაუყარა მან საფუძველი კახეთის რეგიონში მეორე სამაჩაბლოს ტრაგედიას.

მე, როგორც არასპეციალისტს, ცხადია, თქვენს წერილში მოტანილი ზოგიერთი ფაქტის ჭეშმარიტების შესახებ პრეტენზია არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, მაგრამ, ბატონო ამირან, რამდენად მართებული და მიზანშეწონილია მე-20 საუკუნის მიწურულში ვიკვლიოთ და ვიძიოთ სრულიად საქართველოს კუთხე-კუნჭულში მცხოვრები, საუკუნეების მანძილზე ურჯულო მტრის ულელქვეშ მრავალტანჯული, ქართველებად დარჩენილი, ქართული მიწა-წყლის დამცველი და მომვლელი ხალხების წარმომავლობა? ვის აძლევს ხელს დღეს — ქართველი ერის დიდი ხნის ნანატრ ჟამს, ამგვარი „მეცნიერული აღმოჩენანი“?!

მე კი მგონია, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს უხსოვარი დროიდან ქართულ მიწა-წყალზე მცხოვრები, ქართველებად წოდებული ხალხების წარმომავლობის საკითხის დღის წესრიგში დასმა, მით უმეტეს, ფართო საზოგადოების წინაშე. იგი ხომ ჯერ ღრმა მეცნიერული კვლევის საგანი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში „მეცნიერს“ „ღვარძლიანი ჩხირკედელაობის მიზეზით შეუძლია ურთიერთს წაჰკიდოს არა თუ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, არამედ დიდი ხნიდან ერთ სოფელსა და ხეობაში მოსახლე, ერთმანეთისაგან ორ-სამ ნაბიჯზე მცხოვრები ადამიანებიც კი. და თუ რა ნაყოფს გამოისხამს მერე და მერე ბოროტების ძირმწარე ხე, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს!“ ბატონო ამირან, შეიძლება გამინაწყენდეთ კიდეც „ეგ ხომ ჩემი სიტყვებიაო“, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ ერთია?! ამიტომ სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს და თუ დღესაც არა — მაშინ მართლაც და „ვაი ეგეთას სამართალს“.

ჩემის ღრმა რწმენით, „სიმართლის ნერგი იხარებს, დარგე თუნდ სიპსა ქვაზედა“.

**არსენ შველაშვილი**

# საქართველოს ერთგულ ოსებს

**ჩემო** საყვარელო დანო და ძმანო! ის, რაც ახლა სამაჩაბლოში და უკვე არამარტო სამაჩაბლოში ხდება, სრულიად საქართველოს ტკივილია და ეს ღია ჭრილობა, რომელიც ვინ იცის, როდის შეიკრავს პირს, ქართველებზე უფრო მეტად გვტკივა ჩვენ, იმათ, ვისაც ამ მიწა-წყლის ღალატი ფიქრადაც არ გაგვივლია და ვისაც დაგვეკისრა ურთულესი მისია აღვადგინოთ დარღვეული კავშირი ადამიანებს შორის, აღვადგინოთ დაკარგული ნდობა.

ჩვენ უბედური ხალხი ვართ, იმიტომ რომ ქვეყანას, რომელიც გვიყვარს და რომელიც სამშობლოდ მიგვაჩნია, ჩვენი მოდგმის ხალხმა, ჩვენივე სახელით და უკვე განწირული იმპერიის „ლოცვა-კურთხევით“, ამ გაჭირვების და სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ ჟამს ზურგში მახვილი ჩასცა.

ჩვენ უბედური ხალხი ვართ იმიტომ, რომ ერს, რომელთანაც დედაშვილობის, მამაშვილობის, ნათელ-მირონის, მეზობელ-მოყვრობის ამდენი ხიდული და სისხლისმიერი ძარღვი გვაკავშირებს, ჩვენი აღარ სჯერა, რადგანაც ამის მიზეზი არაერთი აქვს.

ჩვენ უბედური ხალხი ვართ იმიტომ, რომ დღეს ქართველის და ოსის ურთიერთობის მაგალითად მარტოღა ბაყათარი შემორჩენილა და სხვა ყველაფერი დავიწყებას მისცემია — თითქოს არ ყოფილა არც ბასიანი, არც შამქორი, აღარც ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება, აღარც „ძეგლი ერისთავთა“, აღარც კონსტანტინე გამსახურდიას კეთილგანწყობით და პატივისცემით გამთბარი სიტყვები ჩვენს წინაპრებზე. დღეს ბორდოხან, დავით სოსლანი, როსტომ და ბაბილაი კი აღარ არიან ჩვენი წინაპრები, ჯაყოს და ბრინკას „საქმის“ გამგრძელებლებად მივაჩნივართ. აი, ეს არის ბუნებრივი გამოძახილი იმისა, რაც სამაჩაბლოში ჩაიდინეს იმპერიის მარიონეტებმა.

დღეს ქართველი აღარ გვენდობა. მე ვიცი, რომ ბევრ თქვენგანს, საქართველოს წინაშე მართალს, ამ უნდობლობით გული ატკინეს, სხვისთვის გასაწნავი სილა გააწნეს — მე ის ვიცი და მარტო გაგონილით არა. მაგრამ არ გაიმტყუნება ქართველს — ის თავის მიწაზეა და ამ მიწას ეცილებიან, ის თავის სისხლით და ოფლით აშენებულ სახლშია და ამ სახლიდან აძევებენ, დასაკარგავი შვილი აღარა ჰყავს და რჩეულ ვაჟკაცებს უხოცავენ, ხახადაბჩენილ ცხრათავიან ურჩხულს შესჭიდებია და ამ ურჩხულის ერთი პატარა თავი ჩვენმა მოგვარეებმა და თვისტომებმა ააყეფეს სამაჩაბლოში.

არ გაიმტყუნება ქართველს, თუ რომელიმე ჩვენთაგანს, სრულიად უდანაშაულოს, მწარე სიტყვა გვითხრა, ან მოთმინებადალეულმა და სამართლიანად აღშფოთებულმა ვილაცის მაგივრად ჩვენ მოგვთხოვა პასუხი. ომია დღეს საქართველოში და ამ ომში ორი სიმართლე არ არსებობს. სიმართლე ქართველის მხარეზეა. იმ ქართველის, რომელსაც თავისი სამშობლოს თავისუფლება უნდა და ამ წმინდა საქმეში ღალატს საკუთარ ძმას და შვილს ვერ აპატიებს და არც უნდა აპატიოს.

მტერს არ ვუსურვებ იმ სულიერ სატკივარს, რაც დღეს ჩვენმა ბედმა თუ უბედობამ გვარგუნა, მაგრამ, ჩემო საყვარელო თანამემამულენო, ჩემო დებო, ძმებო, გაიხსენეთ, ვინ გაგვიმეტა სამისოდ, ვინ დაივიწყა, რომ ვარსებობთ ჩვენც, ის 120 000 ოსი, რომელიც სისხლით და ხორცით შესზრდია საქართველოს, ვინ გაწირა ჩვენი მშვიდობა და კეთილდღეობა, ვინ აუცრუა დღევანდელ საქართველოს ჩვენზე გული. გაიხსენეთ, ვის დროშას აფრიალებენ ავტომატმომარჯვებული არაკაცები, ვინ უხდის მათ ქართული სისხლისთვის ფულს. გაიხსენეთ, ვინ არის ამ უზნეო და ჩვენთვის საბედისწერო ავანტიურის სულისჩამდგმელი და წარმმართველი. გაიხსენეთ, რისთვის გაიმეტეს საზარბაზნე ხორცად გზასამცდარი ჩვენი თვისტომი, იმისთვის, რომ ვიღაც სტავროპოლელ გაზულუქებულ ნაძირალას, ქართველთა და არაქართველთა სისხლში ერთნაირად რომ ჩაიხრჩობა როდესმე, რაღაც ქვეყნის მაგვარი კარიკატურა შერჩეს სამართავად და საჯიჯგნად. მერე ისიც გაიხსენეთ, რანი ვიყავით და როგორ ვცხოვრობდით ზნედაცემული იმპერიის მიერ ჯერ კიდევ წაუბილწავ საქართველოში. ის საქართველო აღსდგება და ამოისუნთქავს, მაგრამ ჩვენ? ჩვენ ვინ ვიქნებით ან რანი ვიქნებით ამ მრავალსატანჯველ გამოვლილ მიწაზე?

უბედური ხალხი ვართ-მეთქი, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე არგაწირული — იმიტომ რომ განგებამ დაგვიტოვა ერთი გზა უფლისა ჩვენის — იესო ქრისტესთან მისაახლოებლად. ჩვენ, და არა სხვამ, უნდა მოვინანიოთ ცოდვები, ჩვენივე თვისტომისაგან ჩადენილი, ჩვენ უნდა ვაგოთ პასუხი დანაშაულისთვის, რომელიც სხვამ ჩაიდინა, სისხლისთვის, რომელიც სხვამ დაღვარა, ღალატისთვის, რომელიც სხვის სინდისზეა. მარადწითელ ბანდიტებთან ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს, მაგრამ ამ საშინელი კატასტროფის მორალური პასუხისმგებლობა ჩვენც უნდა ვიკისროთ. ჩვენ უნდა ავარიდოთ შურისძიების ზოგჯერ განუკითხავი მახვილი იმ ოსთა შთამომავლებსაც, ვისაც სამაჩაბლოში ორივე ერისთვის ამ საშინელი განსაცდელის ჟამს არ დაუკარგავს მეხსიერება, ღირსება, კაცთმოყვარეობა და როგორიც შეძლო, ისეთი სიკეთე გააკეთა. ასეთებიც ხომ იყვნენ. ომში საუბედუროდ, მხოლოდ ის არ იღუპება, ვინც ისვრის. ჩვენ იმ უდანაშაულო მსხვერპლზეც უნდა ვიფიქროთ, თანამდებობებს ჩაჭიდებულმა არარაობებმა პაიკებივით რომ შესწირეს თავიანთ პირუტყვულ ამბიციებს, იმათზეც, ვისაც ორ ცეცხლს შუა მოქცეულს არჩევანის უფლება არ დაუტოვეს და ცოცხალ ფარად წაიმძღვარეს სასიკვდილოდ. მოვა დრო და სამაჩაბლოს ოსები ყველაფრისთვის. აზღვევინებენ ჩრდილოეთიდან „საშველად“ მოსულ „ძმებს“. მანამდე კი, ყველა უდანაშაულო და გულმართალი ოსის ნაცვლად. მათი სახელით ეს არჩევანი ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

ჩვენი ტკივილი გვაძლევს ამის ნებას.

სწორედ ჩვენ და არა სხვამ, უნდა ვაჩვენოთ მოძღმურებულ მტერს მოყვრისა და ამ ჩვენი სამშობლოს უანგარო სიყვარული, რადგან მხოლოდ მაშინ კი არ გვიყვარს საქართველო, როცა გვიფერება და თავზე ხელს გვისვამს, არამედ მაშინაც, როცა დაჭრილი ვეფხვივით პირგამეხებული თითოეულ ნაბიჯს ვეღარ მოგვიზომავს კატასავით და შეიძლება უნებურად დაგვტოროს კიდეც. ტკივა საქართველოს უამრავი ჭრილობა და ამ ტკივილის სიმწრის ცრემლი სწორედ ჩვენ უნდა დაგვდინდეს, ჩვენ უნდა მივიღოთ უსიტყვოდ და უდრტვინველად ის საშინელი გამოძახილი, რაც თითოეული უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის საფასურია. სანამ პირში სული გვიდგას და ამ მიწას სამშობლოს ვეძახით, ჩვენ უნდა ვზიდოთ ის ტვირთი, რასაც ღმერთი გვიწილადებს ავაზაკთა მიერ ჩადენილი ცოდვების საზღაურად, ვიდრე სამაჩაბლოში მშვიდობა არ აღდგება, ვიდრე ყველა, ვისაც ხელს არ აძლევს ძმათა მკვლელი ომისთვის ბოლოს მოღება, არა მარტო ქართველი, არამედ, უპირველესად, ოსი ხალხის მტრად არ იქნება მიჩნეული.

მალე მოვა ის დრო, როცა უფალი ყველას მიუზღავს თავის წილს — კეისარსაც და გენერალ-პოლკოვნიკსაც, მადლიერსაც და უმადურსაც, მკვლელსაც და უდანაშაულოდ გათელილსაც, ერთგულსაც და მოღალატესაც. ძალიან მალე, როცა საქართველო თავისუფალი იქნება. მაშინ და მხოლოდ მაშინ გაირჩევა მტყუან-მართალი, მოგვიშუშდება სატკივარი, შეგვაშრება ცრემლი თვალშიც და სულშიც, აღარ შეგვრცხვება პასპორტის ჩვენება და აღარც ვინმეს ნაცვლად მოგვთხოვენ პასუხს. სამართალი იზეიმებს მაშინ საქართველოში, აღარავის აპატიებენ შეურაცხყოფას უბრალო კაცისას.

დღეს ჩვენ კი არ ვჭირდებით საქართველოს, ჩვენ გვჭირდება იგი. უფრო მეტად კი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს, ჩვენს მომავალს, რომელსაც ჩვენსავით აღარ უნდა გაუხსენონ ყველაფერი, რაც საქართველოს ვატკინეთ და, რაც ჩვენს წინაპრებს თუ თანამედროვეთ, საერთო მტრის სამსალით დაბანგულებს, შეუცოდავთ.

სამარცხვინო დღეს უკვე მოხდა — ჩვენს თაობას ესეც ეყოფა სატანჯველად. საამაყო დავუტოვოთ რამე ჩვენს შვილებს, რომ ჩვენსავით წელშიგატეხილებმა და სახეალეწილებმა არ იარონ, რომ ოსური და ქართული სიტყვა იმათ პირითგან ერთნაირი სიმართლით ჟღერდეს.

საქართველო უჩვენოდაც გაიმარჯვებს. ჩვენ კი უფლისა და ქვეყნის წინაშე მარადიულ უძღებ შვილებად დავრჩებით, თუ პირნათლად არ ჩავაბარებთ უკანასკნელ გამოცდას. ისტორიამ ამ მიწა-წყალზე ოდესღაც დამკვიდრებულთ გვიბოძა კიდევ ერთხელ, ალბათ, უკანასკნელად ამის საშუალება. ეს უნდა შევიგნოთ ყველამ, დიდმა და პატარამ, მეცნიერმა და უმეცარმა. შევიგნოთ და 31 მარტს ისეთი არჩევანი გავაკეთოთ, რომელიც სიყალბეშეპარულ ფიცს ძალას და სიმტკიცეს მიანიჭებს.

— საქართველოა ჩვენი სამშობლო! — ამის თქმის უფლება უნდა მოვიპოვოთ და ღმერთი იყოს ჩვენი შემწე.

**ნატო ნარტყოშვილი**




**გუშინ**, ოთხ საათზე, საქართველოს მთავრობის სახლთან გაიმართა მიტინგი, რომელიც საქართველოს „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური პარტიების ინიციატივით მოეწყო და რომელიც, წინა სარეფერენდუმო თემას მიეძღვნა.

მიტინგი დალოცა სხალთის ეკლესიის წინამძღვარმა, მამა გრიგოლმა და მომიტინგეებთან ერთად ლოცვა აღავლინა.

შესავალ სიტყვაში ბატონმა თემურ ქორიძემ კიდევ ერთხელ აუხსნა აუდიტორიას თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება 31 მარტის რეფერენდუმის დადებითად ჩატარებას საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, ახსნა ბატონების ბორის ელცინისა და ზვიად გამსახურდიას შეხვედრის აუცილებლობა.

მიტინგის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. მან აღნიშნა, რომ მსოფლიოს საზოგადოება აღიარებს საქართველოს ახლანდელ მთავრობას, რომ საქართველოში 30 მარტს სტუმრად ჩამოვა ინგლისის ელჩი და ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი.

შეკრებილთ მიმართეს: ბატონმა კაკო ასათიანმა, ბატონმა ნემო ბურჭულაძემ და სხვებმა, სტუმრებმა ინგუშეთიდან, გაზეთ „ვრასტანი“ თანამშრომლებმა...

მიტინგის მონაწილეთა სახელით დეპეშა გაიგზავნა მოსკოვში მომიტინგე დემოკრატების და ჩეჩნეთ-ინგუშეთში თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისადმი თანადგომის ნიშნად, რადგანაც სწორედ ერთობა, ურთიერთგატანა, თანადგომა მიგვიყვანს დასახულ, წმინდა მიზნამდე.



**ვარლამ ბენზიურის ფოტო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ ფაქტები...



ის, რაც დღეს სამაჩაბლოში ხდება აშკარა ომია, ე.წ. ეთნოკრიზისების საფარქვეშ გახვეული ომი, რომელიც გააჩაღა საბჭოთა იმპერიამ თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობისათვის უკომპრომისოდ მებრძოლი ქართველი ერის წინაამდეგ.

კრემლის მესვეურებმა ცრუ დაპირებებით და სხვა ათასნაირი ხრიკებით მოახერხეს ამ ბრძოლაში სამაჩაბლოში მცხოვრები ოსი ეროვნების წარმომადგენელთა ნაწილის ჩაბმა. ისინი ექსტრემისტები არიან, მაგრამ ეს როდი იკმარეს. მათი ხელისშეწყობითა და ლოცვა-კურთხევით საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე უკანასკნელ პერიოდში თავი მოიყარა მთელს იმპერიაში გაფანტულმა, ძირითადად, ოსი ეროვნების ბანდიტებმა და სისხლის სამართლის დამნაშავეებმა. სწორედ ასეთი ხალხის დახმარებით და თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით ცენტრმა გააჩაღა ძმათა მკვლელი, ვანდალური ბრძოლები.

ამ მძიმე ბრალდებებზე კი თავად ფაქტები ღაღადებს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა საგამოძიებო სამმართველოში, 1991 წლის 6 იანვრიდან დღემდე სამაჩაბლოში მომხდარ დანაშაულობებზე აღძრულია 55 სისხლის სამართლის საქმე.

ქართველი ეროვნების მოსახლეობაზე ყაჩაღური თავდასხმა და მათი ბინების გაქურდვა, ქართული საშუალო სკოლის ჯერ გაძარცვა, შემდეგ დაწვა, ქართველი მოსახლეობის კუთვნილი ავტომანქანების გატაცება, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ავტომანქანის და სამარშრუტო ავტობუსის დაწვა, ქართული მილიციის მუშაკებზე თავდასხმა და სატაბელო იარაღის გატაცება, ცხინვალის ცენტრალური აფთიაქიდან მედიკამენტების გატაცება და ა.შ. აი, კრემლის მიერ ინსპირირებული ოსი ექსტრემისტების „საქმეთა საგმიროთა" არასრული ნუსხა.

როგორ აღწევენ ოსი ექსტრემისტები ამ „წარმატებებს"? რა თქმა უნდა, საბჭოთა არმიის იარაღის გამოყენებით.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა საგამოძიებო სამმართველოში აღძრულ 12 საქმეში აღნუსხულია, სამხედრო რეაქტიული კალიბრის ჭურვებით, ანუ სამხედრო რაკეტებით მოქმედება. ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში, ამ ტიპის რაკეტები არ მოიპოვება. მაშასადამე, ცხადია, გარედან არის შემოზიდული. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მხოლოდ სამაჩაბლოს რეგიონშია შემოტანილი რაკეტები — „ნურს" ს-5 ტიპის, 57 მმ. კალიბრის ჭურვები. ფეთქების და ნგრევის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მილიციის მუშაკთა მიერ ამოღებულია ნივთიერი მტკიცებები — რეაქტიული ჭურვები და ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოში.

სამართლებრივ ორგანოებს ხელთა აქვთ ნივთიერი მტკიცებები, სამაჩაბლოდან ამოღებული სამხედრო რაკეტების შესახებ, მაგრამ ეს გამოძიებამ საკმარისად არ ჩათვალა და მტკიცება რაკეტების სამხედრო წარმოშობის შესახებ ჯერ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტიზის ბიუროს გაუგზავნა. ბიურომ ექსპერტიზაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ სამხედრო საქმეთა საექსპერტო გამოძიება მის უფლებებში არ შედიოდა. მაშინ დახმარებისათვის საგამოძიებო სამმართველომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საჰაერო სამსახურს მიმართა.

ამიერკავკასიის სამხედრო ექსპერტიზის დასკვნით საბოლოოდ დადგინდა: **დასანგრევად და დასაზიანებლად გამოყენებული რეაქტიული „ნურს" ს-5 ტიპის 57 მმ-იანი კალიბრის ჭურვები დამზადებულია თავდაცვის მრეწველობის ქარხნებში და შეიარაღებაში აქვთ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების ვერტმფრენებსა და თვითმფრინავებს.**

ამიერკავკასიის ექსპერტიზის დასკვნა საბოლოოდ დაადასტურა გენერალმა პატრიკეევმა, რომელმაც საინფორმაციო პროგრამა „ვრემია"-ში გამოსვლისას თქვა:

„სპეციალური სამხედრო შემოწმების შედეგად, ამიერკავკასიის ოლქში შემავალ არც ერთ სამხედრო ნაწილს რეაქტიული „ნურს" ს-5 ტიპის 57 მმ კალიბრის ჭურვების დანაკლისი არ აღმოაჩნდა", რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ტიპის სამხედრო რაკეტები შემოტანილია ამიერკავკასიის ფარგლებს გარედან.

სამაჩაბლოში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს მიერ არის აღმოჩენილი, რასაც ადასტურებს სამხედრო საჰაერო სამსახურის საგამოძიებო ექსპერტიზა.

ეს იურიდიულად დაფიქსირებული უტყუარი სამხედრო საბუთი, ერთხელ კიდევ დოკუმენტურად ადასტურებს სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის არსებობას და არა ეროვნულ წინააღმდეგობას ორ სხვადასხვა ხალხს შორის.

პუბლიკაცია მოამზადა
**თამთა ცეცაძემ.**

---

საქართველოს რესპუბლიკა
შინაგან საქმეთა სამინისტრო
[illegible]
380079, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 34

РЕСПУБЛИКА ГРУЗИЯ
МИНИСТЕРСТВО ВНУТРЕННИХ ДЕЛ
[illegible]
380079, г. Тбилиси, пр. Чавчавадзе, 34

43/263

"7" марта 1991 г.

Следователю Чугуретского РОВД
А.Бакрадзе.

Возвращаем без исполнения объект, изъятый из дома Казаришвили и постановление о назначении баллистической экспертизы и сообщаем, что провести экспертизу в ЭКО МВД Грузии не представляется возможным ввиду отсутствия соответствующих справочных данных.

Приложение: пакет и постановление.

НАЧАЛЬНИК ЭКО МВД ГРУЗИИ ПОЛКОВНИК МИЛИЦИИ ГОСТИАШВИЛИ Д.Г.

---

М О ССС Р
ВОЕННО - ВОЗДУШНЫЕ СИЛЫ ЗАКВО

П О Д П И С К А

Мне, специалисту по авиационному вооружению в/части-53999 Русакову Владимиру Борисовичу разъяснены в соответствии со ст.189 УПК Республики Грузия права и обязанности специалиста, предусмотренные ст.73 УПК Республики Грузия.

Об ответственности за отказ или уклонение от дачи заключения или за дачу заведомо ложного заключения по ст.197 и 198 УК Республики Грузия предупрежден

"12" марта 1991 года

ЗАКЛЮЧЕНИЕ СПЕЦИАЛИСТА

" " марта 1991 года

Специалист в/ч 53999 Русаков Владимир Борисович, имеющий высшее военное образование, стаж работы - 20 лет, и специальность - авиационное вооружение, на основании постановления о назначении экспертизы от "04" 03 1991 года, вынесенного следователем СЧ МВД Республики Грузия В. Кухианидзе

Произвел техническую экспертизу

На экспертизу представлены:

- обломки боеприпаса в опечатанном виде.

---

\- 2 -

Фабула дела:

8 февраля 1991 года, примерно в 15 час, следствием неустановленными лицами был произведен выстрел взрывчатыми веществами, в результате чего было повреждено подсобное помещение жителя села Свери Цхинвальского района Папелишвили.

С места происшествия была изъята изготовленная из алюминиевого металла длиной 87 см, диаметром 80 мм труба с двумя наконечниками длиной 10 см.

Перед специалистом поставлены следующие вопросы:

1. Представленные вещественные доказательства заводским, кустарным или самодельным способом изготовлены и являются ли они остатками от боеприпасов?
2. Если данные предметы заводского изготовления, то какова их система, модель, образец, каковы их технические данные и каким способом производится выстрел?
3. Каким оружием можно произвести выстрел данных предметов, какова максимальная дальность их полета?
4. Можно ли произвести выстрел представленных на экспертизу предметов с использованием самодельного орудия, если да, то из какого именно?
5. Характерно ли состояние представленных на экспертизу предметов после производства выстрела, когда был произведен выстрел?
6. Какие ведомства, род войсковых частей оснащаются такими предметами?
7. Что обозначают надписи на предметах?
8. С какой целью применяются данные предметы: для уничтожения каких объектов, зданий, сооружений?

Представленные на экспертизу обломки являются двигатель неуправляемой авиационной ракеты (НАР) типа С-8, калибр 80 мм,

\- 3 -

представлена двигательная часть ракеты из дюралиминия

Изготовлена заводским способом.

Штатный боеприпас класса "воздух-поверхность" - НАР типа С-8, состоит на вооружении Военно-Воздушных СИЛ СССР, вес не более 10 — 13 кг.

-дальность стрельбы с самолета /т.е. с воздуха - - 2-3 км

- Инструкцией стрельба НАРС-8 с земли по наземным целям не предусмотрена.

Но НАР С-8 может быть запущена кустарным способом с помощью любой трубы, подходящего диаметра.

Для пуска необходимо подвести к ракете напряжение от любого аккумулятора.

Можно предположить, что при пуске кустарным способом дальность полета ракеты может быть 300-400 м.

Боевая часть ракеты в зависимости от разновидности может содержать 2-3 кг взрывчатого вещества.

Судя по царапинам на корпусе двигателя можно предположить, что исследованная ракета НАР С-8 была запущена кустарным способом.

Специалист в/ч- 53999

/Русаков В.Б./

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბაქარი

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მირიანის, ქართლის (იბერიის) პირველი ქრისტიანი ხელმწიფის, გარდაცვალების შემდეგ „დაჯდა მეფედ ძე მისი ბაქარი“.

მირიან მეფემ სიკვდილის წინ მემკვიდრეს ქრისტეს რჯულზე მტკიცედ დგომა დაუბარა. ბაქარმა მამის ანდერძი პირნათლად შეასრულა — „...იყო მორწმუნე ვითარცა მამა მისი. ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა... ამან ბაქარ ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოვებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა შინა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად. ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა...“

ბაქარის დროს ქართლსა და სომხეთს შორის მტრობა ჩამოვარდნილა. სომხებს ქართლში ბაქარის ძმისწულის გამეფება მოუნდომებიათ, რადგან იგი დედით სომეხი იყო. ბაქარის ძმას, რევს ცოლად ჰყავდა სალომე, სომხეთის მეფის, თრდატის ასული. სომეხთა შემოტევის მოსაგერიებლად, ბაქარი იძულებული გახდა სპარსეთის მეფისთვის, თავის ბიძაშვილისთვის, დახმარება ეთხოვა. „ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის ძმისწულსა მისსა, დაემოყურა და გაუცვალა ქვეყანა მისი ძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემული მირიანისაგან, და მისცა მის წილ სამშუილდეითგან მიმართ ქვეყანანი ვიდრე თავამდე აბოცისა; მაშინღა ნათელიღო ფეროზ და ერმან მისმან, და მოირთეს ძალი ხუასროსაგან (სპარსეთის მეფისაგან), და ეწყუნეს სომეხთა ჯავახეთს, სძლეს და აოტეს სომეხნი.“ (ფეროზი, სპარსეთის მეფის შვილი, მირიანის სიძე, ბაქარის დის ქმარი იყო).

სომხებზე გამარჯვების შემდეგ ბაქარმა „შუამდგომლობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა“ თავის ძმისწულსა და დედამისს ხელწერილი დაადებინა, რომლის თანახმადაც რევის შთამომავლობა ქართლის სამეფო ტახტზე სამუდამოდ უარს ამბობდა — „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისათა“. ამის მერე ბაქარმა ძმისშვილები შეირიგა, „მაშინღა მოიყვანა ძმისწულნი მისნი, და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად“.

ბაქარმა ღირსეულად იმეფა „და მოკუდა და დაეფლა მამასავე თუისსა თანა“.

მოამზადა
**ირაკლი ლომოურმა**

**რევაზ ებრალიძის ნახატი**

# იმპერიის აღსასრულის ახლოვდება

**წინა** კვირას საქართველოს დედაქალაქ თბილისში მთავრობის სახლის წინ მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი. განრისხებული, მუშტმოღერებული ხალხი შეძახილებით — ლიტვა! ლიტვა! ლიტვა! თავიანთ პროტესტს გამოხატავდა. კავკასიაში მცხოვრებ 5,4-მილიონიანი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერისთვის საოცრად ახლობელი და გასაგებია შორეულ ჩრდილოეთში მდებარე ბალტიის რესპუბლიკათა ტკივილი. ქართველებმა უკვე იწვნიეს, თუ რა შედეგი მოსდევს კრემლის განზრახვას. შეინარჩუნოს კავშირის მთლიანობა, როდესაც 1989 წლის აპრილში ორლესული ნიჩბებით აღჭურვილმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მხეცურად დაარბიეს მშვიდობიანი ეროვნული დემონსტრაცია და 20 ადამიანი მოკლეს. როგორც ბალტიის ქვეყნებმა გამოხატეს თანადგომა საქართველოსადმი იმ მძიმე წუთებში, ასევე ქართველებმა მიიტანეს გულთან ლიტველთა ტრაგედია, როგორც საკუთარი. „შეუძლებელია შეინარჩუნო იმპერია დემოკრატიული საშუალებებით“, — განაცხადა მიტინგზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და ეროვნული მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ. მან მოუწოდა ქართველებსა და კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებს, მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა, გაერთიანებულიყვნენ კრემლის წინაალმდეგ ბრძოლაში, იმავდროულად დაგმო ყოველგვარი პროვოკაცია და შეიარაღებული ამბოხების მცდელობა.

ქართველებს აქვთ მიზეზი ივარაუდონ, რომ კრემლის აგრესიის უახლოესი სამიზნე შესაძლოა საქართველო იყოს. მას შემდეგ, რაც გასული წლის ოქტომბერში გამსახურდიას მომხრეებმა გაიმარჯვეს არჩევნებში, კრემლისა და საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური კურსი მუდმივად ურთიერთდაპირისპირებულია. პირველი, რაც ახალმა პარლამენტმა გააკეთა იყო ის, რომ რესპუბლიკის სახელწოდებიდან ამოიღო სიტყვები „საბჭოთა“ და „სოციალისტური“, ამასთანავე გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი სრული დამოუკიდებლობის მიღწევამდე. საქართველომ კატეგორიული უარი განაცხადა, ხელი მოეწერა გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებულ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე და წვევამდელთა მხოლოდ 10 პროცენტი გააგზავნა საბჭოთა არმიაში სამხედრო სამსახურის მოსახდელად.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აკაკი ასათიანმა, განაცხადა: „ჩვენ არ ვმალავთ იმ ფაქტს, რომ ანტიკომუნისტები ვართ და ვიბრძოლებთ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად“.

ექვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსკოვი ხელს უწყობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მდგომარეობის გამწვავებას, რათა შემდგომ გაამართლოს ამ რეგიონში ცენტრის სამხედრო ძალის გამოყენება. 1921 წელს საქართველოში ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ შეიქმნა რუსეთის პოლიტიკისადმი ლოიალურად განწყობილი ზემოთხსენებული ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეული ოსთა ინტერესების დასაცავად. გასულ სექტემბერს, როდესაც მთელი საქართველო იბრძოდა თავისუფლების მოსაპოვებლად, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ, მოსკოვის საამებლად, ოსეთი „საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გამოაცხადა. საქართველოს პარლამენტმა ამ აქტის საპასუხოდ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. საქართველოს მილიციის შენაერთებსა და ადგილობრივ სეპარატისტებს შორის შეჯახებას შეეწირა სულ მცირე 12 ადამიანის სიცოცხლე.

ორი კვირის წინ გორბაჩოვმა გააუქმა ორივე მხარის საკანონმდებლო აქტი და გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამი დღის ვადაში უნდა გამოეყვანა „შეიარაღებული ფორმირებები“ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან. გამსახურდიამ უარყო ეს ულტიმატუმი: „ჩვენ გვესმის — უთხრა მან მოსკოვს, — რომ თქვენს განკარგულებაშია უხეში ძალა, რომელსაც შეუძლია ჩაახშოს ეროვნული მოძრაობა საქართველოში, მაგრამ ღირს კი გამარჯვება ასეთ ფასად? ან ექნება კი ეს გამარჯვება?“ მოსკოვის საპარლამენტო კომისიამ, რომელიც იმყოფებოდა საქართველოში, გაკვრით აღნიშნა გასულ კვირას, რომ მოსკოვი, ალბათ, არ წავა საქართველოს მილიციის ნაწილების რეგიონში დარჩენის წინაალმდეგი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ „კულტურული ავტონომიის“ გარანტია იქნება. ქართველები ეჭვის თვალით უყურებენ კრემლის მოსალოდნელ მოქმედებებს. მათ აფიქრებთ ის გარემოება, რომ სპარსეთის ყურეში ომი ცენტრმა შეიძლება რესპუბლიკაში ჯარის ჩამოყენების საბაბად გამოიყენოს და არც დასაბუთება გაუჭირდება, ვინაიდან საქართველო თურქეთის მოსაზღვრე ქვეყანაა. ამდენად, კრემლს შეუძლია იგი ფეთქებადსაშიშ რეგიონად წარმოაჩინოს. ქართველებს ფიცი აქვთ მიცემული, რომ საქართველოში ტანკების შემოსვლის შემთხვევაში ისინი, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, დაიცავენ თავიანთ უფლებებსა და ქვეყნის ავტონომიას.

**ჯონ კოჰანი**

„ტაიმი“, იანვარი, 1991.

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტივიზაციასთან დაკავშირებით პრესა, რადიო, ტელევიზია და სხვა, ხშირად იყენებს სპეციალურ ტერმინებს, გამოთქმებს, უცხოური წარმოშობის სიტყვებს. ავტორები სხვადასხვა შინაარსით ხმარობენ ამ სიტყვებს, ხშირად — ურთიერთგამომრიცხავადაც.

ამ საკითხში ერთგვარი სიცხადის შეტანის მიზნით ვიწყებთ მასალების ბეჭდვას რუბრიკით „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი“.

რუბრიკას წარუძღვება სოციოლოგი **ნოდარ კერესელიძე.**

**რეფერენდუმი** არის საყოველთაო სახალხო კენჭისყრა (გამოკითხვა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად. ტერმინი მოდის ლათინური ძირიდან და ნიშნავს „რაც უნდა აუწყონ“.

რეფერენდუმი უშუალო დემოკრატიის ძირითადი ფორმაა. იგი შეიძლება იყოს სავალდებულო, არასავალდებულო (ფაკულტატიური), კანონით დადგენილი ან ინიციატივური, მასში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქემ. საკანონმდებლო აქტები რეფერენდუმზე განსახილველად ჩვეულებრივ გამოაქვთ ამ აქტის მიღებამდე ან მიღების შემდეგ, ე. ი. რეფერენდუმი შეიძლება იყოს საკანონმდებლო აქტამდელი და საკანონმდებლო აქტის შემდგომი. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხები ჩვეულებრივ მრავალფეროვანია — დაწყებული კონსტიტუციური ცვლილებებიდან, დამთავრებული ყოველდღიური ცხოვრებისეული საკითხებით. იგი შეიძლება იყოს საერთო ეროვნული ან ადგილობრივი მასშტაბების.

რეფერენდუმზე განსახილველად ჩვეულებრივ სთავაზობენ რაიმე კონკრეტულ ალტერნატივებს, რომლებზედაც მოქალაქენი თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ შეთავაზებული კითხვის პასუხთა ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევით: დიახ ან არა, მხარს ვუჭერ ან მხარს არ ვუჭერ, მსურს ან არ მსურს, ვემხრობი ან არ ვემხრობი და ა. შ. დიდი მნიშვნელობა აქვს რეფერენდუმზე გამოტანილი საკითხის კითხვის ფორმაში გადაყვანას და ამ კითხვის ფორმულირებას. გამოკითხვათა მეთოდურ ლიტერატურაში მრავალი მაგალითი არსებობს იმისა თუ რა განსხვავებული შედეგები მოიტანა ერთი და იგივე კითხვის სხვადასხვა ფორმულირებებით დასმამ. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას ამერიკელებმა ჩაატარეს ეროვნული მასშტაბის გამოკითხვა ომისადმი დამოკიდებულების შესახებ კითხვის ფორმულირების სამი ვარიანტით. სამივე ვარიანტით გამოკითხვათა შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

რეფერენდუმებში და, საერთოდ, გამოკითხვებში მიღებულია ე. წ. დახურული კითხვის უმარტივესი ფორმა, როდესაც კითხვის პასუხთა შინაარსი და ფორმა წინასწარ არის განსაზღვრული მხოლოდ ორი ალტერნატივით, ჩვეულებრივ — „დიახ“ ან „არა“ და არ გამოიყენება ზოგადად მიღებული მესამე ალტერნატივაც: „არ ვიცი“ ან „თავს ვიკავებ აზრის გამოთქმისგან“.

რეფერენდუმების ჩატარების დიდი ტრადიცია აქვს შვეიცარიას. 1831 წელს პირველად ჩატარდა ფაკულტატიური, არასავალდებულო რეფერენდუმი, 1852 წელს — სავალდებულო. რეფერენდუმი მისი თანამედროვე ფორმით კი 1863 წელს ჩატარდა პირველად.

ევროპის ქვეყნებში ძირითადად პირველი მსოფლიო ომის შემდგომ იწყება რეფერენდუმების ჩატარების პრაქტიკა. 1919 წლის გერმანიის კონსტიტუცია პრეზიდენტს ნებას რთავდა რეფერენდუმი მოეწყო რაიხსტაგის მიერ მიღებულ ნებისმიერ კანონთან დაკავშირებით. მას უფლება ჰქონდა აგრეთვე რეფერენდუმი ჩაეტარებინა რაიხსტაგსა და რაიხსრატს შორის სადისკუსიო საკითხზე. 1926 წელს რეფერენდუმი მოაწყეს ჰოჰენცოლერნების ქონების კონფისკაციის შესახებ.

რეფერენდუმების შესახებ კანონი უმეტეს დემოკრატიულ ქვეყნებს აქვთ. იქ სადაც „სოციალური მშვიდობაა“ მწვავე პოლიტიკური და სხვა, პრობლემები მიტინგებით და, გაფიცვებით კი არ წყდება ჩვეულებრივ, არამედ — რეფერენდუმებით. მაგალითად, იგივე შვეიცარიაში ქვეყნის კონსტიტუციის ნებისმიერი შესწორება აუცილებლად მხოლოდ რეფერენდუმით ხდება; ნებისმიერი კანონი შეიძლება გაიტანონ ფაკულტატიურ (არასავალდებულო) რეფერენდუმზე; მოქალაქეებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ, თუკი 50 ათას ხელმოწერას შეაგროვებენ. ჩვეულებრივ კი 30 ათასი ხელმოწერაა საკმარისი რეფერენდუმის ჩასატარებლად.

საყოველთაო კენჭისყრის ერთ-ერთი სახეა აგრეთვე პ ლ ე ბ ი ს ც ი ტ ი (პლებსი — უბრალო ხალხი და სციტუმ — გადაწყვეტილება, დადგენილება). ჩვეულებრივ ეს არის სადაო ტერიტორიის ნაწილის ან მთელი ტერიტორიის სახელმწიფო კუთვნილების განსაზღვრა ხალხის ნებით — საყოველთაო კენჭისყრით.

დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ საქართველოში, რომელიც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დგას, იმედია დამკვიდრდება უშუალო დემოკრატიის ეს ფორმა და მისი გამოყენებით გადაწყდება ბევრი მწვავე, აქტუალური პრობლემა.

წარსულს უნდა ჩაბარდეს ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების საბჭოური ე. წ. „საყოველთაო-სახალხო განხილვები“ (როდესაც არავინ იცოდა ის მექანიზმი თუ ვის აზრს ითვალისწინებდნენ და ვისას უარყოფდნენ და რა პრინციპით). საბოლოოდ უნდა დავამკვიდროთ დემოკრატიის ცივილიზებული მეთოდები.

ხმა ღვთისა — ხმა ერისა.

# გასწორება

გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „ნუ გავირჯებით საქართველოს საზიანოდ“ გაიპარა უზუსტობა: „ბ-ნ გოგი თოფურიას“ მაგივრად უნდა იკითხებოდეს „ბ-ნი გოგი გოთუა“, ხოლო წინადადებაში „რაც საქართველოში ვალუტის შემოტანის საშიშროებას შექმნის“. უნდა იყოს „რაც საქართველოში ვალუტის მცირე რაოდენობით შემოტანის საშიშროებას შექმნის“.

რედაქტორი მარიკა აბაიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, საადო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14, ტელეფონი 98-91-57

ინდექსი 66421

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29

ფასი 50 კაპ.